XXV № 9 XXV

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბერი 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა"

I გზა, ომში მივდივარ! სურათი 466
II ოჯახი, ლექსი შიო მდივანელისა 467
III ჩაგვივარდი, შე ავაზაკო! 470
IV ადამიანის მეგობრები (ბრძოლის ველზე) მეგობრისა. 472
V მეფის მოღალატე მებაღე და ქურდი მელა. მდგდელ ბესარიონ ვაშაძისა 476
VI ჯეკ ლონდონ როგორ გადაარჩინა მატარებელი, თარგმანი ან. წერეთლისა 479
VII ბულბულის ნაწერებიდან (დასასრული შემდეგ). . 490
VIII წვრილმანი: გამოცანები, ანდაზები და ანაგრამა. . 497

IX ნიავი! ლექსი ლადო გეგეჭკორისა 498
X წითელ კაბას ამბავი, ცქვიტისა. 499
XI უზენაესი პატიმარი. ანასტასია წერეთლისა. . . . 508
XII შაქრის პური. ლიხტენბერეეს მოთხრობიდან (პატარა ტროტი) ედ. დემოლონ-წერეთლისა 519

ჯეჯილის რედაქციამ მიიღო

ველისციხიდან, ახალ-გავაზის სასწავლებელის **მოწაფეებისაგან** შეგროვილი ერთმანერთ შორის **რვა აბაზი** (1 მ. 60 კ.) ჯარში გასულ მეომართა ოჯახის სასარგებლოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი
ყურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!.
ი. დ.

სექტემბერი, 1914 წ.

✦ წელიწადი მეოცდახუთე ✦

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1914

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზა! ომში მივდივარ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოჯახი.

დე გოგო, შე გომბიოვ,
ნეტავ რაღას იწილები;
ვერა ჭსედავ რომ წიკიან
უჭმელობით წიწილები?!

გარიჟრაჟის აქეთია
აღარა მაქვს ხელი ხელთა,
სადღვებელმა მთლათ გამწურა,
სისხლი ოფლათ დამელვენთა.

კარაქს თუ ვერ ამოვიღებ
ადრიანათ სანამ გრილა,
აბა, დღვება რა ხელს მომცემს
შინ და გარეთ როცა თბილა!..

რასა გდია აქამდისინ
სიომე ბნელი ქალაბიჭა,
უთხარ ჭუკებს მოუტანოს
ღოლო იოს, ბინდა ღიჭა.

დაუჭრას და დაუკეპოს,
შიგ დო-ქატო გაურიოს;
დედებს ცალკე დაუყაროს,
ჭუკებში არ აურიოს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალახი რამ მოუწიწკნოს
ბაგის ჰირში ნიშა ხბოსა,
თუ უნდა რომ დაეკაროს
კარაქსა და ახალ დოსა.

ცოტა ქატო აუსვრიმეთ
ნელ-თბილ წყალში ქუცუნასა...
კარი ოდნავ გამოგულეთ,
ხელს ნუ ახლებთ ცუცუნასა.

სათივეშიც ჩაიარეთ
შენ კანმოლით, იმან კაბით,
კვიცს ადგილი მოუნაცვლეთ,
ცოტა იქით გადაბით.

აბა! დროზე აწიეთ
საჩქაროზე ორივემა,
თორემ ბიჭებს ვერ მორჩებით
საღამოზე ჩემმა მზემა.

დამიხედეთ! სოფლათ ძილქუშს
აქნობამდის როგორ ჭბედავთ!
წელებზე რომ ფეხს იდგამენ
ძმებს და მამას ვერა ჭხედავთ?!

ოფლში გაწუწული დედა
შვილებს ასე არიგებდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიჟრაჟიდან მესამე ჰირს
ხელოფეს ჩაუდგმელი დღვებდა.

მზემ თვალი რო გააახილა
ახლა ცომის გუნდებს ქნიდა
და ქმარი კი ამ დროს მინდვრათ
ოთხის ვაჟით უანას მკიდა.

შიო მღვიმელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაგვივარდი, შე ავაზაკო!

უს თვალები ისე აქვს მოწეობილი, რომ სინათლეს ვერ უძლებს და დღითი მხედველობას მოკლებულია. ღამე კი ბუ მშვენივრათ ხედავს. ღამ-ღამობით გამოძვრება ხოლმე ნანგრევებიდან, ხეების ფუღურო-ებიდან და როგორც ავაზაკი დაეცე-მა ბუდეებში მძინარე ჩიტებს და სწვენს მათ. იჭერს თაგვებს, თხუ-ნელებს, ეველა ჰატარა ცხოველებს. კურდღელზედაც ბედავს დაცემას. ჰატარა ჩიტებს სა-შინლათ ეჯავრებათ ბუ და ეშინია-ნთ იმისი.

ერთხელ ბუს ნადირობაში მოუ-გვიანდა და ვერ მოახერხა თავის ფუღუროში შეძრომა. გათენდა, მზე ამოვიდა. ბუს შეეშინდა უგზო-უკვლოთ ხეტიალის, ხეს არ დავეძგე-რო და არ დავიჩეხოვო. დაეცა ერთ ადგილას მი-წაზე და ბალასში მიიმალა.

ფრინველებმა აკი თვალი არ მოჰკრეს, დაეცენ მას წეალწეალა, კიუტა, საეა ჩიტები, ბეღურები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭილუვაკები. დაუწყეს ნისკარტებით წიწკნა, კორტნა, ბრჭყალებით ფსაჭნა.

სისინებს ბუ, ნისკარტს აწკაპუნებს, სიბრაზით იბურძგნის ფრთებს, ცდილობს თავის დახწევას.

— რა გინდათ ჩემგან?—სისინებს ბუ,—რათ დამესხეთ აგრე ერთათ?..

— შენ მე შვილი გამიგლიჯე,—წრიპინებს ერთი ჩიტი.

— შენ მე ბუდე მთლათ ამიშალე, ეველა ბარტყები დამისრჩვე!—ჭროკინობს მეორე.

— ჩემი მეგობარი ვინ ჩაჭკორტნა, ვინ მოძიკლა?—ეკვირის ბეღურა...

— ჩაგვივარდი შე ავაზაკო ხელში!—ჩხავის ეკავი,—კიდევ კითხულობ, რათ დაგეცენ ეველანი! განა კარგათ არ იცი, რა დღეს აეენებ შენ ეველას ტეეში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის მეგობრები.

ბრძოლის ველზე.

ალლის ერთგულობა ყველასა აქვს შეტ-ეობილი. ახლანდელ ომში ერთი დაჭრილი მეომარი შემდეგ ამბავს მოგვითხრობს:

„პოლონეთის ერთ სოფელზე რომ გავიარეთ ჩვენ ჯარს აედევნა ერთი ძაღლი, აღარ გვშორდებოდა, არც ჩვენები აგდებდენ.

— რას გვიშლის, დეე, იოსო!

ჩვენ მას ვაჭმევდით, თავისუფალ დროს ვეთამაშებოდით, ორ ფეხზე ვაყენებდით. მეტათ მარდი და გონიერი იყო. ბრძოლის დროს ჩვენ არა გვშორდებოდა. სადაც წავიდოდით დაგვდევდა თან. ჩვენ რომ მოვუვებოდით სროლას, ან ძიწაზე გავწვებოდით მტრის დასაზვერათ, ის მოუსვენრათ დარბოდა და გერმანელებს შეჰქეფდა ხოლმე.

ერთხელ ბრძოლის შემდეგ შევჯგუფდით ერთათ. საშინლათ დაღალულები ვიყავით. ყველა ზეზეულათ თვლემდა, თვალები ჩვენდა უნებურათ გვეხუჭებოდა, ფეხზე ვერა ვდგებოდით, მერე ისე დავეცით იქვე ძირს, რომ ადგომას მგონი ვერ მოვახერხებდით.

გაოენებისას საქმე სხვანაირათ დატრიალდა: ჩვენი ძაღლი მოჰყვა საშინლათ ეეფას, ჩამოგვიარა ყველას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგს ფეხებზე კბენდა, ზოგს ხელებს ულოკავდა, ზოგს კიდევ აქეთ იქით სწევდა, ღრინავდა...

უფროსმა გვითხრა: ჩვენ თავს რაღაც ამბავია, თორემ ძაღლი უმიზეზოთ ასე არ შეშფოთდებოდაო.

საჩქაროთ წამოვსტით, წელში გავიშალეთ, სადღა იყო ძილი...

იცით რა მოხდებოდა, ძაღლს რომ არ გავეღვიძებინეთ? ყველანი დავიღუპებოდით. გერმანელები თურმე ჩუმათ გვეპარებოდენ, უნდოდათ მოულოდნელათ თავს დაგვსხმოდენ.

ამ ძაღლის წყალობით ჩვენ მტერს მარჯვეთ დავუსვდით.

* * *

ცხენებმაც არა ერთხელ იჩინეს თავი გამჭრიახობით. აი რას გვიამბობს ახლა ერთი ცხენოსანი ჯარის კაცი:

— „ჩვენ და კაზაკები ერთხელ მტრის დასაზვერათ წავედით ღამდებოდა. წვიმდა. კარგა რომ დაღამდა წავაწყდით ავსტრიელებს. ჯერ სროლა დაგუწყეთ, მერე გაუსვით ხმლებს ხელი, მოვეევით მათ დაჩეხას, ისინი გაგვექცნენ, ჩვენ ავედევნეთ. სანამ გავაგდებდით მტერს, სულს მოვიბრუნებდით, ღამემ ძოალწია. ისე ბნელოდა, რომ თითს თვალთან ვერ მივიტანდით, ველარც მტერს ვხედავდით. გზაც აგვერია, დავიბენით. ტყეები, ბუჩქები, ხევები გვქონდა გადასასვლელი, ვერას ვარჩევდით. ბოლოს ყიბლანის შემწეობით დავადეგით გზას, მაგრამ საიდანღაც გაჩნდა მდინარე, მერე შევუსვიეთ მეორე მხარეს—იქაც მდინარე დაგვიხვდა. შორეულ სოფლიდან სინათლე

ეროვნული

გაძოჩნდა, სალხიც დავინახეთ, მაგრამ ავსტრიელები იუვენ.

აშკარათ ჩანდა, რომ გზა დაგვბნეოდა, ერთ ადგილას ვტრიალებდით, მერე ეტეობოდა, რომ მტერიც სულ ახლოს იუო. ადვილათ წავაწუდებოდით მათ.

— რა გვექნა? შევჯუფდით ერთათ. თოფიარალი მზათ გვეჭირა. ვინ იცის უცბათ რა უბედურება შეიძლებოდა შეგვსვედროდა.

ჩვენ შორის იუო ერთი კაზაკი—კალმიკი, სახელათ ბასანკა ერქვა.

— მოიცა ძმებო, ჩემ ცხენს ერთს გაძოვცდი, იქნება გზაზე გაგვიუვანოს.

მხოლოთ მაშინ მოგვივიდა ჩვენ ფიქრში, რომ თუ ცხენი გონიერია ადვილათ გაიგნებს თავის ჯოგისკენ გზას.

ეველას გაგვესარჯა, ავლაპარაკდით

— აბა, სცადე, ბასანკავ,—შენი ცხენი სწორეთ ოქროა!

ბასანკამ აღვირი მოუშვა, გასწია წინ, ერთი თავისებურათ დაუსტვინა. ცხენმა დაიხვიხვინა, ფეხები დააბაკუნა, ჯერ თითქოს ერთ მხარეს უნდოდა წასულიუო, მერე გადაჭრით დაადგა მეორე მხარეს. ბასანკამ მაშინ დაიეკორა:

— აბა ჩემსკენ წამოდით, ძმებო!

მისი ხმა ისე მხიარულათ მოისმოდა, თითქოს გზა ნაპოვნიცა აქვსო. ჩვენც თოხარიკით გავეევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენმა ჯერ დიდ ხანს გვატრიალა ბუჩქებში, ბოლოს მშვიდობიანათ გაგვიყვანა შარა გზაზე და იქიდან მალე ჩვენ ბანაკს მივადეგით.

ბასანკას ჭკვიანი ცხენი რომ არ შეგვხვედროდა— ახლა ბევრი ჩვენგანი ცოცხალი აღარ იქნებოდა.

მეგობარი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფის მოღალატე მეგაღე და ქურდი მელა.

(არაკი)

ცბიერმა და ვერაგმა მელიამ მეფის მშვენიერ ბაღში შესვლა დაუპირა, ბევრი უტრიალა ბაღს გარშემო, მაგრამ შესვლა ვერ მოახერხა, ბოლოს მეფის მებაღეს დაუახლოვდა და სთხოვა, როგორმე ბაღში შეეშვა; მებაღემ ჯერ ცივი უარი გამოუცხადა მელიას, მაგრამ როდესაც მელია ქრთამს შეჰპირდა და აღთქმა მისცა მებაღეს, რომ რამდენ ქათმებსაც მოვიპარავ სოფლებში მისს ნახევარს შენ მოგიყვან და მუდამ შენი პატივისმცემელი ვიქნებიო, მებაღე სიხარულით დასთანხმდა და ქურდი მელია შეიყვანა ბაღში, მსოლოთ მებაღემაც თავისებური ხერხი იხმარა: რომ მეფეს თავის ბაღში მელია არ დაენახა, მან ჭიშკრიდან კი არ შეუშვა მელია, ბაღის ერთ კუნჭულში იმდენზე გამოანგრია ბაღის ღობე, რომ მელამ თავისუფლათ იწყო ბაღში ძრომიალი; მელია ამ გაწალდული გზით არხეინათ დადიოდა; გადიოდა სოფლებში, იპარავდა ქათმებს, მოჰყავდა ბაღში, თითონაც ბევრს სჭამდა და მებაღესაც უმასპინძლდებოდა ნაპარევი ქათმებითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ჰირის გემოში იყო მეფის მებაღე და მასაც სრულიათაც არ აწუხებდა ბაღის აოხრება; მელია იმდენათ გაკადნიერდა მებაღის წყალობით, რომ თვით ბაღში გაიკეთა თავისი სორო, თვითონ არ დასჯერდა იქ ცხოვრებას და სხვა მრავალი მელიებიც მოიყვანა და შემოაჩვია; მთლათ გაოსრდა ბაღი. მელამ რაკი სხვა მოსამსახურე მელიები გაიჩინა, თვითონ აღარ იკადრა სოფლებში სიარული ქათმების საქურდლათ და სხვა მელიებს აგზავნიდა, თვითონ კი ბატონურათ იჯდა მელია თავის სოროში და დიდ ნეტარებაში და განცხრომაში იყო; გამშვენიერდა და გასუქდა მელია ისე, რომ თავის ტყავში აღარ დაეტია!

ერთხელ მეფემ მოისურვა თავისს ბაღში გასეირნება, სეირნობის დროს შეამჩნია, რომ მისი ბაღი მთლათ სავსეა ქათმების ძვლებით და ბუმბლით. გაბინძურებული იყო ბაღი, რომელსაც წინანდელი სიკაშკაშეზე და სიტურფე აღარ ეტყობოდა; ეკაეილების სანეტარო სუნის ნაცვლათ ბალში გამდგარი იყო ქათმების ძვლების და აშმორებული ბუმბლის სუნი. მწარეთ ჩაფიქრდა მეფე და მაშინვე შეუდგა საქმის გამორკვევას; მეფემ ბრძანა ბაღში შემოეშვათ მისი სასახლის მწყვარ-მეძებრები. ძაღლებმა სუნი აიღეს და ჰირდაჰირ მიადგენ მელიას სოროს; მეტი გზა არ იყო, გაბატონებულმა მელიამ იკადრა სოროდან გამოსვლა, გაექანა გასაქცევათ, მაგრამ ძისი უბედურება ის იყო, რომ გასუქებული მელია თავის გაწალდულ ღობეში ვეღარ გაეტია, ჭიშკარში გასვლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მოახერხა, რადგანაც იქ დარაჯები იდგენ; მსუ-ნაგი კუდა-მელია მიბეგვეს კეტებით და მაღლებმა ნაწილ-ნაწილათ დაიტაცეს; კვდებოდა მელია და თა-ნაც მეფეს შესჩიოდა: „დანაშაული ჯარ, დიდებულო მეფევ, მაგრამ კიდევ ზედმეტათ დანაშაულია ჩემზე თვენი მოღალატე მებაღე; მან ქრთამი გამოძართვა, თქვენ გიღალატათ, ციხე შიგნიდან გაგიტეხათ და მეკი მომკალითო“. მეფემ თავი მოკვეთა მოღალატე მებაღეს და მის მაგიერათ კი სხვა საიმედო მებაღე დააყენა...

მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეკ ორრამ როგორ გადაარჩინა მატარებელი.

ალექსი უორდი და ჯეკ ორრა დიდი მეგობრები იყვნენ. ორივე ახალგაზრდა ემაწვილები ერთათ მსახურებდენ რკინის გზის ტელეგრაფზე, მდინარის ნაპირას. ერთხელ, შემოდგომაზე, დიდი წვიმის შემდეგ მდინარე ადიდდა. ორივე ამხანაგები საღილს შემდეგ დადიოდენ მდინარის ნაპირას, დასცქეროდენ როგორი სისწრაფით მიექანებოდა მღვრიე წყალი, თითქმის ისე მაღალი იყო, რომ ნაპირს უსწორდებოდა. თანაც მიაქანებდა დიდრონ ხეებს, მოგლეჯილ ღობეებს და თვით მთელ შენობებს. ემაწვილებმა ექვს საათზე მიატოვეს აქაფებული მდინარე და გასწიეს სახლში, რადგან ვახშმის შემდეგ ტელეგრაფის ღამის სამუშაოზე უნდა გასულიყვნენ.

— რას ფიქრობთ ამ ადიდემულ მდინარეზე, უორდ?—ჰკითხა უფროსმა მორიგმა ტელეგრაფისტმა, როდესაც ალექსი უორდი შევიდა ოთახში.

— საძაგლობაა, მისტერ ალლენ,—უპასუხა ალექსი უორდმა,—როგორ გგონია, ხიდს არ წაიღებს?

— რასაკვირველია არა. მაგ ხიდს ორჯელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძჯელ ძეტ წუალდიდობისთვის გაუძლია. ჩვენი ხიდი კაკივით მაგარია, დარწმუნებით უთხრა ტელეგრაფისტმა.

მაგრამ დილის ხუთ სუათზე, როდესაც ამბავი მოიტანეს, რომ წუალი საშინლათ მატულობს, უფროსმა ტელეგრაფისტმა ალლენმა გაგზავნა ჯეკ ორრა ხიდის დასათვალიერებლათ სადგურის კოშკში, საიდანაც მოჩანდა ის ხიდი.

— წუალდიდობა მალე ჩვენამდისაც მოაღწევს, უთხრა ტელეგრაფისტმა, — უსათუოთ ბურუსითაც მოიფინება არე-მარე, რადგან სიცივე მატულობს.

ნახევარ საათს არც კი გაუვლია, რომ ჯეკ ორრამ კოშკიდან ისევ ტელეგრაფით საჩქაროთ გადმოსცა, ბურუსი უკვე მთელი არე-მარეს მოედვაო — მე ვეღარაფერს ვერა ვხედავ, მხოლოთ წულის შუილიღა მესმის. ნეტავი თუ თქვენ რასმეს ხედავთ?

ალექსი უორდი და მისტერ ალლენი მივიდენ საჩქაროთ ფანჯარასთან და გადიხედეს ქვემოთ ხეობისაკენ. გარდა მღვრიე, მოშავო მდინარისა და რკინის გზის ეკითელი ქვიშით მოფენილი ლიანდაგისა, ნახეს მხოლოთ არე-მარე დილის რიჟრაჟზე თეთრი ბურუსით მოცული. შორიდან მოისმოდა ურუთ ქუხილი.

ტელეგრაფის უფროსმა ამოიოხრა.

— ეს სწორეთ ნიაგარის ჩანჩქარს მოგვაგონებს, წამოიძახა მან დიდი შეწუხებით. — ჩემ დღეში არ მინახავს ამისთანა წუალ-დიდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეგრაფის მანქანამ მოსცა ნიშანი, ისინი ჩამოეცალნენ ფანჯარას. ჯეკ ორრა ელაპარაკებოდა: მათ „ხიდის ერთი ბურჯი წყალს დაუზარალებია, მგონი კიდეც წაუღია. მაგრამ არა, არა. ხიდი ისევ არის, ბევრ ადგილას გაფუჭებულია. ზედა პირი ხიდისა ისევ არის“.

მისტერ ალლენი მიუბრუნდა იქ მდგომ ერთ ტელეგრაფისტს და ჰკითხა:

— მისტერ ლარენ, მატარებელი № 46, ნორფოლკს გამოსცილდა?

— დიაღ, ბატონო, ხუთი წამი იქნება.

შეწუხებულმა ალლენმა ერთი კი დაიკვნესა და ისევ ფანჯარას მივარდა. მის სახეს მკვდრის ფერი დაედო.

— რა მოხდა, მისტერ ალლენ? შეჰკივირა ალექსი უორდმა.

— როგორ თუ რა მოხდა? ნორფოლკი ხომ უკანასკნელი სადგურია ხიდამდის, ოცი წამის შემდეგ მატარებელი ხიდზე მოვა. რომ ვინმეც გავგზავნოთ ხიდზე, ამისთანა ბურუსში როგორ ვაცნობებთ ხიდის გაფუჭებას, ლიანდაგის ასაფეთქათ ჰეტარდის დაწყობას მოვასწრებთ, რომ ამითი მატარებელი შევაჩერებინოთ.

როდესაც ალექსი უორდს წარმოუდგა ნათლათ თვალ წინ როგორ ჩავარდებოდა ხიდიდან წყალში მატარებელი,—მან იგრძნო, რომ სისხლი ძარღვებში მთლათ გაუშრა.

19899

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნდა გადავარჩინოთ მატარებელი, — უსათუოთ უნდა ვუშველოთ როგორმე, წამოიძახა მან.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში სადგურის უფროსი შემოვიდა.

— დილა მშვიდობისა, ბატონებო, თქვა მან მხიარულათ — დღეს რა ადრე წამოვდექი. ჩემ ცოლ-შვილს უნდა დაუხვდე, უნდა მოვიდენ 46 ნომრის მატარებელით... აღლენ, რა დაგემართა?

ალლენმა ფანჯრისკენ მიუთითა.

— ხიდის ბურჯი დაზიანებულია, ძლივს ამოიღო მან ხმა, — და მატარებელი 46 ნომრისა ნორფოლკს გაძოსცილდა უკვე.

სადგურის უფროსი დაბარბაცდა და საკარძელში ჩავარდა. ერთ წამის შემდეგ ფერ მკრთალი წამოვარდა და ღონე მოკრეფილმა სასტიკათ წამოიძახა:

— მერე რა ჰქენით, მატარებლის შესაეენებლათ?

— ჯერ არაფერი. ეს ამბავი სწორეთ ახლა მოხდა.

— განა არ შეიძლება ვინმე გავგზავნოთ ხიდზე, რომ იქიდან აცნობოს, ან ასაფეთქებლათ ლიანდაგზე ჰეტარდა დავდოთ?

— გვიან არის, ლიანდაგს ვერ ავაფეთქებთ. შეხეთ ერთი, მთელი ხეობა გაბურდნულია ბურუსში. მემანქანე მხოლოთ სამი ფუტის სიშორეზე დაინახავს.

სადგურის უფროსი მივარდა ფანჯარას, ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამს უძრავათ იდგა, მოკუმშულ მუშტს თითქოს ეგ-ლასაც ულერებდა.

— არც ლიანდაგი შეიძლება გავანათოთ? წამოიძახა მან ხელ-ასლათ.

— ისეთი ბურუსია, რომ ფარნების სინათლე არას გააწყობს.

სადგურის უფროსი სიმწარით ხელებს იმტვრევდა.

— რაღა სწორეთ იმ დროს მოხდა ეს ამბავი, როდესაც მდინარის იქითა ნაპირას სადგური რიგერ-საიდ-პარკი ზამთრის გამო აღარ მუშაობს! ხომ ტელეგრაფით შეიძლებოდა გვეცნობებინა, წამოიძახა მან სიმწარით.

ამ დროს მოისმა ალექსი უორდის ყვირილი:

— მოვიგონე საშუალება, მოვიგონე! ნავთი გვიშველის.

ამ სიტყვებით ალექსი მივარდა იმ ტელეგრაფის მავთულს, რომელიც უერთდებოდა კოშკს.

— რაო, რაო? დაიყვირა სადგურის უფროსმა და ისევ დაეშვა სკამზე სულის მოსაბრუნებლათ.

— ჯეკ, გაქვს მანდ, კოშკში ნავთი? დაეკითხა ალექსი თავის მეგობარს.

— აქ არა მაქვს, მაგრამ შეიძლება ვიშოვო, მეისრეს ექნება.

— შეგიძლია რომ როგორმე ხიდს გადასვიდე?

— მეისრეს რკინის გზის ველოსიპედი აქვს, შეიძლია მგონი იმით გადავიდე მაგრამ რათ გეჭირება ჩემი იქით გადასვლა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მატარებელი 46 ნომრისა ოცი წამით შემდეგ გამოივლის ხიდს. არ ვიცით როგორ შევაეენოთ. შენ შეგიძლია გადმა რასმეს ცეცხლი წაუკიდო, ნავთის შემწეობით.

— მართალია, აგრე შეიძლება, გასცა ხმა ჯეკმა.

— შენ შეგიძლიან შპალებს ცეცხლი წაუკიდო, მხოლოდ იქით მხრიდან, სადაც სადგური რივერსაიდ-პარკია.

— მესმის, ძალიან კარგი.

— „გზა მშვიდობისა“, გასძახა ალექსიმ და თან გული სევდით აევსო, რომ თავის მეგობარს ასეთ საშინელ განსაცდელში აგდებდა.

— ღმერთო მოუმართე მას ხელი! შეჰვევირა სადგურის უფროსმა.

—

ჯეკ ორრას დრო არა ჰქონდა, რომ ეფიქრნა თავის საშიშარ მდგომარეობაზე. საჩქაროთ ფარანს მოუკიდა, ოთახიდან გამოვიდა, სწრაფლად კიბეებზე ჩამოვიდა, რკინის გზის ლიანდაგს გასცილდა და შევიდა დარაჯის ოთახში, რომელიც ბედზე ღია დაუხვდა. იქიდან გამოიტანა ნავთით სავსე ბოთლი და რკინის გზის ველოსიპედი. ველოსიპედზე დასდგა ბოთლი, მიაბა ზედ ფარანი, გაიტანა ის ლიანდაგზე, დაჯდა ზედ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გასრიალდა.

როდესაც ჯეკი მიუახლოვდა აღმართს, სადაც იწყებოდა ხიდი, წელის შხუილმა ერთბაშათ გამოაღრუა, ამან მხოლოთ ახლა იგრძნო რა ძნელი საქმის შესრულება იკისრა. მაგრამ მაშინვე შავი ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები უკუაგდო, ტუჩები მოკუმა და მტკიცე განძრახვით განაგრძო გზა.

მალე ავიდა აღმართზე, ხიდის ეურთან. მთელი არე-მარე ბურუსში გახვეული დაუხვდა. ოდნათ მოჩანდა ხიდის ბურჯები. სინოტიო ჰირისახეში ეცა. ბურუსის თეთრი კედელი წინ აეფარა, გზის გასაკვლევათ საჭირო იყო ამის აცილება. ახლა შხუილი ქვეშიდან მოესმა, ის უკვე ხიდზე იმყოფებოდა.

ჯეკი ნელ-ნელა წავიდა, წინ გაიეურებოდა, გულდასმით უგდებდა ეურს წყლის შხუილს, რომ ამ ხმაურობის შემწეობით გაერჩია ის ადგილი, სადაც ფიცრები ჩატეხილი იყო და ან რკინები ჩაზნექილი. ბოლოს მან შეამჩნია რომ წყალი ერთ ადგილას ტრიალებდა და მეტათ აქაფებული იყო, ლიანდაგიც სწორეთ იმ ადგილას ინძრეოდა. ჯეკი მიხვდა რომ ხიდი სწორეთ იმ ადგილას იქნებოდა დაზიანებული.

ჯეკ ორრა ფრთხილათ იკვლევდა გზას, თანდათან ლიანდაგი მეტათ ინძრეოდა. ზოგ ადგილას რელსებს წყალი ფარავდა. ერთ წამს ჯეკი შედგა, შეეოუმანდა. მაგრამ როდესაც მას თვალ წინ წარმოუდგა, რომ მატარებელი ხიდიდან წყალში გადავარდებოდა, კბილი კბილს დააჭირა და განაგრძო გზა.

ერთბაშათ ლიანდაგის რკინები, რელსები, ძალოვანათ შეინძრა და ერთი მხარე წყალში ჩაიშალა. ჯეკმა ერთი შეჭკივლა, უკან გადახტა და ლიანდაგზე ჰირქვე დაეცა. რამდენსამე წამს ამ მდგომარეობაში იყო, ცახცახი გაჭქონდა, წყლის შხუილმა სულ გამოაყრუა. ყოველ წამს შიშით ელოდა, რომ დანარ-



ჩენ ხიდსაც წუალი წაიღებს. მაგრამ მალე რელსები წუალმა ისევ მაღლა ასწია. ჯეკმა მოიკრიფა ძალ-ღონე, ჩოჩვით ერთი ლიანდაგიდან მეორეზე გადა-დიოდა, ველოსიპედს წინ მიაგორებდა. ბოლოს შე-ამჩნია, რომ რელსები აღარ იზნიქება. დიდი სიფრ-თხილით ავიდა ველოსიპედზე და განაგრძო გზა, ჯერ ნელა-ნელა და მერე მოუჩქარა. ახლა გზა სწო-რი და მაგარი იყო. აღარც წელის მხუილი მოისმო-და. ჯეკი დაღუპვას გადარჩა.

უცბათ შეხედა იმ ადგილას, სადაც ნავთით ბო-თლი ჭქონდა შენახული და უნებლიეთ დაიუვირა: ბოთლი დაჭკარგოდა! უსათუოთ როდესაც ველოსიპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ხიდზე დაიზნიქა, ბოთლი წყალში ჩავარდებოდა. ჯეკს თვალ წინ წარმოუდგა დანაკარგის მნიშვნელობა და ის საფრთხე, რომელიც ტუილათ გამოიარა; ახლა მიზანს ხომ ვეღარ ძიაღწევდა! ამაზე თვალები ცრემლებით აევსო. მას მოაგონდა, რომ მის სულ ახლოს არის სადგური რიკერსაიდ—ბარკი, რომელიც საზამთროთ დაკეტილი იყო. იქნება იქ იყოს ნავთი! გაიფიქრა მან, კბილი-კბილს მოუჭირა, დაიღუნა ველოსიპედზე და გაჭქროლა იქითკენ, რომ საქმე ბოლომდის გაეტანა.

სადგურის უფროსი, მისტერ ალლენი და ალექსი ისევ ფანჯარასთან იდგენ. ამათ იცოდენ ჯეკის განზრახვა. უეცრათ ხიდის წინ ფარნის მკრთალი სინათლე გამოჩნდა. ამათ სიხარულით კიჟინა დასცეს და ღმერთს მხურვალეთ დაუწყეს ვედრება, რომ ჯეკიც და ხალხიც უბედურებას გადარჩენოდენ. მერე ეველაფერი ბურუსმა მოიცო. გამეფდა სიჩუმე. ამას მოჰყვა საშინელი მოლოდინი. ეველა გაიეურებოდა იქითკენ, საიდანაც დასავლეთის ქარი ზოგჯერ ცოტაოდნათ გაჰფანტავდა ხოლმე ბურუსს და ერთი წამის განმავლობაში ოდნათ გამოაჩენდა მდინარის ნაპირებს და რკინის გზის ლიანდაგს. დრო გადიოდა და ჯეკი არა ჩანდა. ეველა მწუხარებით მოცული იყო.

— ის ახლა ხიდზე უნდა იყოს, ფარნის სინათლე ხომ სადმე მაინც უნდა გამოჩენილიყო, თქვა მისტერ ალლენმა.

— ხო, მართალია, თუ... ალექსიმ არ გაათავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორეთ ამ წუთს მოისმა ხელ-ახლათ სიხარულის კივილი:

— ხედავთ, აი, სად არის!

ყველამ დაინახა ფანრის მკრთალი სინათლე და შავი ჰატარა არსება, რომელიც ნელა-ნელა გადადიოდა ლიანდაგზე. მაგრამ ერთ წამს შემდეგ იმედი ისევ გაჰქრა, ჩრდილოეთიდან მოისმა ერუთ ხანგრძლივი სტვენა მატარებლისა.

— ალლენ, რამ სიშორეზეა ჩვენგან მატარებელი?

— ხოლო სამ მილზე იქნება.

სადგურის უფროსმა ამოიკვნესა.

— ვერ მოასწრებს, ვერა! ხუთ-ექვს წამს შემდეგ მატარებელი ხიდზე იქნება.

ამ დროს მოისმა ტელეგრაფის მანქანის ნიშანი.

— ნეტავი ვინ უნდა იყოს? თქვა ალექსიმ და მივარდა მანქანას

— მოკელ რიგერსაიდ—ჰარკში, იტყობინებოდა ჯეკი—მაგრამ ბოთლი ხიდზე დამეკარგა, ნავთი აქ არ არის, რა ვქნა?

ალექსიმ რომ გადმოსცა ტელეგრამის შინაარსი სადგურის უფროსი უიმედოთ დაეშვა სკამზე.

— საშველი აღარა არის რა! ბედი არა გვწყალობს.

— იმ სადგურზე ხომ ერთი ვინმე მაინც უნდა იყოს. მისტერ ალლენ, ხომ არავინ გეგულებათ? ჰკითხა ალექსიმ.

მისტერ ალლენი ერთ წამს დაფიქრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მისტერ ლარენ, გამოიხმეთ საჩქაროთ ტელეფონთან ფლანაგანი.

მისტერ ლარენი მივარდა ტელეფონთან და თქვა ნომერი.

— ფლანაგანი მანდ არის? სადგურზე ხომ არა გაქვსთ ნავთი. ნურაფერს ნუ მკითხავთ. გაქვთ თუ არა? ნახევარი ბოჩკა გქონიათ? ძალიან კარგი.

ღია ფანჯრიდან ხელახლათ მოისმა სტვენა, მაგრამ ახლა უფრო გარკვევით და ხმა მაღლა, ალლენმა მუხლებზე ხელები შემოიკრა. ალექსიც უიმედოთ დაეცა სკამზე, მაგრამ მაშინვე წამოვარდა და მივარდა ტელეგრაფს.

„ჯეკ, სადგურის უკან, სარაიაში არის ნახევარ ბოჩკა ნავთი, ცეცხლი წაუკიდე სადგურს“.

ეველა მივარდა ფანჯარას. მისჩერებოდენ იმ ადგილს, სადაც ზაფხულში ჰატარა სადგური იყო. ხმას არავინ იღებდა, ხელ ახლათ მოისმა ხანგრძლივი სტვენა. ერთი წუთის შემდეგ ბურუსში გამოჩნდა ცეცხლის ალი. ფანჯარასთან მდგომნი შეინძრენ, მხიარულათ შეჰყვირეს.

ცეცხლის ალი სულ მაღლა, მაღლა ადიოდა. მოისმა რამდენჯერმე ზედი ზედ ხმა მაღლივი, მოუსვენარი სტვენა, მერე მატარებელი მძიმეთ შეინძრა და შედგა.

ცეცხლმა მიზანს მიაღწია.

(თარგმანი)

ანასტასია წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულბულის ნაწერებიდან.



ვენი ბუდე ზედ მიწაზე იყო გაკეთებული ერთ ბუჩქის ქვეშ, წინა წლის მუხის ფოთლები ძირს გვქონდა დაფენილი. მე, რომ ჰირველათ ავახილე თვალები ჩემ გვერდითვე დავინახე ორი და ბ ორი ძძა, როგორც სჩანდა მე უველაზე პატარა ვიუავი. დედა ჩემი ფრთებს გვაფარებდა, ძაძა კი იჯდა მახლობელ ხის ტოტზე ფრთებ ჩამოშვებული და ბოლო აშვერილი. ის წკრიალა ხმით გალობდა.

— სიხარულით გალობს მამა თქვენი, რომ გამოიჩეკეთ, გვითხრა დედამ,—მერე ხმას კი აღარ ამოიღებს მეორე გაზაფხულამდის.

მართლაც მერე მამაჩემი ჩაჩუმდა და ისა და დედა მოჰყვენ ჩვენ გამოსაკვებათ ზრუნვას. როგორც საზოგადოთ უველა ბარტყები ჩვენც ბლომათ ვჭამდით. ჯერ გვაჭმევდენ კალიებს და ბუზანკალებს. მერე გაგვიმასპინძლდენ ჭიებით და მატლებით. ბოლოს, როდესაც მოვიზარდენით და გავმაგრდით ჰირის ჩასატკბუნებლათ მოჰქონდათ მარწყვი და მოცვი. ბუზებს და მატლებს ჩვენ არა ვჭამთ, ჭიებს სჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენ ბელურები და ბანჯვლიან მატლებს—გუგულები—ჩვენ, ბულბულებს, ძალიან გვიყვარს ჭიანჭველები და მათი კვერცხები. ყოველთვის მზათა ვართ უბოლოოთ ვჭამოთ და ვჭამოთ.

მშობლები დიდ ალერსით გვექცეოდენ. დილიდან საღამომდის სულ იმ ზრუნვაში იყვენ, რომ ჩვენთვის საზრდო მოეწოდებინათ. ღამე ხან ერთი და ხან მეორე ფრთებს გადაგვაყარებდა რომ თბილათ ვყოფილიყავით. ასე გასტანა თიბათვის ნახევარამდის. როდესაც მოაწია დიდმა ბალახმა, ჩვენ ჩვენი თავი ისე მოზრდილათ ვიგრძენით, რომ ხშირ-ხშირათ ბუდიდან გადმოვფრინდებოდით ახლო-მახლოს და ისევ მალე ვბრუნდებოდით ბუდეში.

— ახლა კი დროა ისწავლოთ გალობა! თქვა ერთხელ მამა ჩემმა.

ჩვენ, ძმები, შევსსედით მახლობელ ხის ტოტზე და სტვენას მოვეევით. მაგრამ ხეირიანათ არა გამოდიოდა რა. დედა ჩემი და ჩემი დები ჩუმათ მოშორებით ისხდენ და შემოგვცქეროდენ. მამა ჩემი კი თავს აქნევდა და ამბობდა:

— აფსუს რომ მოვხუცდი და ვერა ვგალობ, თორემ გიჩვენებდი, რანაირათაც უნდა გალობა.

ჩვენი მორიდებული სტვენა-გალობა გაგრძელდა კათათვის დამლევამდის. კათათვეში ავათ შევიქენით, ფრთები დაგვცვივდა, მაგრამ მალე ახალი ფრთებით შევიმოსეთ და გავიკურნეთ. ამას შემდეგ ჩვენ სხვა-და-სხვა მხარეს გავფრინდით, სანამ დრო არ დაგვიდგა ცხელ ქვეყნებში გადაფრენისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ჰატარა ტეის გვერდით ერთი დიდი მაძულ-ლი იყო. მისი მიტოვებული ბაღის დიდრონი ხეები, მეუდროთ გაცალკევებული, საშინლათ მიზიდავდა. გა-ვეშურე იქითკენ და ისე სწრაფათ დავეშვი ერთ იასა-მანის ბუჩქზე, თითქოს ქვის ლოდი წამოვიდა ზე-მოდანაო და სწორეთ ამ იასამანის ბუჩქზე გავიკეთე ბუდე. ამ გავერანებულ ბაღში დარბოდენ ბავშვები, ხშირათ დიდებიც გაივლიდენ ჩემ წინ, მაგრამ მე არა-ვისი არ მეშინოდა. საზოგადოთ ბულბულებმა მინ-დობა იციან, თუ არაფერს არ დაუშავებენ ძაღლებ-საც კი შეუძლიანთ მათთან მიახლოვება.

მაშინ მე აქ გავიცანი ერთი ბელურა.

— გამარჯობა, მეგობარო! მომმართა მან. კეთი-ლი იყოს შენი მეზობლობა! ჩვენ ხომ ერთმანეთს ვენათესავებით!

— როგორ თუ ვენათესავებით? გამიკვირდა მე, —შენ ხომ მოჭიკჭიკე ჩიტი ხარ, მე კი—მგალო-ბელი!

— ეგ არაფერია. ჩვენ მაინც ერთი ჩამომავლო-ბისა ვართ. შენცა, მეცა და თვით იადონიც ერთ ოჯახს შევადგენთ, რომელსაც „ბელურას“ ოჯახს უწოდებენ. რომ წაიკითხო ბუნების მეტყველების წი-გნი, მაშინ დარწმუნდები. ჩვენ ყველას ეურთა სმენა და თვალთა ხედვა კარგი გვაქვს,—განვითარებული. რაც შეეხება გემოვნებას და ენოსვას მაგისი რა მო-გახსენო...

ბელურამ თვალები მობეჟუტა და დაცინვით თავი გაიქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ ძაგითი ღმერთმა არ დაგვასაჩუქრა! — ბნაგრძო მან, — ძაგითი გუგულიც კი გვაჯობებს. ის რომ გემრიელ რასმეს შესჭამს სიამოვნებით გუგულ ძახილს დაიწყებს, ჩვენ კი რაც უნდა მოგვცეს — უველაფერს ვჭამთ.

— ძაგას კი მართალს არ ამბობ, მოუგე მე. — ჩვენ ძალიან გვიყვარს ჭიანჭველების კვერცხები.

— ეგ იმიტომ, რომ თქვენთვის სასარგებლოა, მიპასუხა ბეღურამ, — და არა იმიტომ, რომ გემრიელია. ჩვენ ვეკუთვნით იმ ფრინველებს, რომელნიც განურჩევლათ უველაფერს სჭამენ.

მერე მიამბო, რომ ის ოველთვის ადამიანის ახლო ცხოვრობს. მარტო ისა და აგრეთვე ძაღლი და ჭინჭარი ადამიანს არას დროს არ შორდებიან.

— მიაქციე ერთი ეურადღება, განაგრძო მან, — განა ტეეში ჭინჭარი არის? არის იქ ბეღურა? ძაგრამ დასახლდება თუ არა იქ ადამიანი, მაშინვე მის ბინასთან გაჩნდება ჭინჭარიც და ბეღურაც! ძაღლზე რაღა ითქმის, ის ადამიანს ცხრა მთას იქითაც გაჰყვება.

მართლაც, როდესაც დავაკვირდი უველაფერს, ბეღურა მართალი გამოდგა. ამ კარ-ბიდამოში ველგან ბეღურებს ჭრიკინი გაჰქონდათ, აუარებელი ძაღლები დახეტიალობდენ, ხევები, სასლის უკანა ეზოები სავსე იყო ჭინჭარით და მეც მართლაც ისეთივე ჯიშისა ვიყავ, როგორც ბეღურა.

მარიამობის თვეში უცბათ ვიგრძენ მოუსვენრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, საითკენღაც ვიწეოდი, მოძინდა შორს ცაგრენა, ჩემ იასამნის ბუჩქს გამოვესალმე და მშობელ ბუდესაკენ გავსწიე. იქ ეველას თავი მოეუარა: დედასაც, მამასაც და და-ძმებსაც. ეველანი რაღაც მოლოდინში იეენ.

— რამდენი ხანია გიცდით, მითხრა მამამ,— დროა გავფრინდეთ, ჩვენ ეიმისოთაც დაგვიგვიანდა!

— საით უნდა გავფრინდეთ? ვკითხე მე.

— აფრიკაში, იქ ეთბილება. აქ მალე სიცივეები დაგვიდგება და საჭმელს ვეღარ ვიშოვით. არ ატეობ, რომ ბალახი და ხეებზე ფოთლები სულ გაეკითლდა?

მოვუცადეთ საღამოს და გავუდეგით შორი გზას. ჩვენი ოჯახი ძარტო მიფრინავდა და ღამ-ღამობით ვისვენებდით; ღამეს სადმე ბუჩქებში ვატარებდით. ჩვენ სულ მაღლა-მაღლა ვფრინავდით, ზეპოდან ეველაფერი ჰატარათ და უმნიშვნელოთ მოჩანდა.

— ჩვენ ახლა მივფრინავთ სამხრეთ-დასავლეთისკენ, გვითხრა მამამ, — რადგან წამოსული ვართ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან. ჩვენ რომ ჩრდილოეთ-დასავლეთში დავბადებულიეავით, უსათუოთ გავფრინდებოდით სამხრეთ აღმოსავლეთისკენ — ინდოეთში ან მესოპოტამიაში. ასეთი წესია ფრინველების გადაფრენისა. ღმერთმა ჰქნას, რომ ეოველთვის ზენა ქარი გვწეალობდეს, ჩვენ არ გვავნებს ეს ქარი. სულ სხვაა ქვენა-ქარი, ის ან სხვაგან სადმე გაგვიტაცებს, ან ფრთებს დაგვიმტრევს.

— მაშ გზას როგორ ჰოულობ? ვკითხე მამას, —რა იცი, საით უნდა გაფრინდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა ჩემი ჩაჩუმდა, ჰატარა ხანს შემდეგ მიბრუნდა სუხა:

— ღმერთი გვიჩვენებს გზას. არც ერთმა ფრინველმა არ იცის, საით უნდა გაფრინდეს, მაგრამ იქ მიფრინდებიან, სადაც საჭიროა. ადამიანებისთვის ეს დიდ საიდუმლოებას შეადგენს.

მე მახსოვს, როგორ ჩვენ ქვემოთ ზღვა შხუოდა, მახსოვს როგორ გადავივლიდით თოვლიან მთებს და ბოლოს ერთ დილაზე გავჩნდით ეგვიპტეში— აქ უნდა დავრჩენილიყავით გაზაფხულამდის. მშვენივრათ თბილოდა, მაღალი კოკოსის ჰალმა აჩქენებდა არეა-მარეს, მღვრიე ნილოსი გაურბოდა დიდრონ ნანგრევებს და კოშკ-დარბაზებს. ჩვენ ბუჩქებში დავბინავდით. არ ვგალობდით, მოთმინებით ველოდით, როდესაც ჩვენ საშობლოში გათავდებოდა ზამთარი, რომ დავბრუნებულიყავით.

დაგვიდგა სანატრელი გაზაფხული. ჩვენ ვხედავდით როგორ სხვა და სხვა ჯიშის ფრინველები მსიარული ჭიკჭიკით გუნდ-გუნდათ იკრიბებოდენ და



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე ჩრდილოეთისაკენ ემგზავრებოდენ. ჩვენ კი არ ვიცოდით რატომ ვიცდიდით. მერცხლებიც ჩვენსავით იცდიდენ. თავს მოუსვენრათ ვგრძნობდით, გაფრენა გვეჩქარებოდა, მაგრამ არ იქნებოდა.

— რას ვუცდით? ამბობდა ზოგიერთი,—მერცხლები რატომ არ მიფრინავენ? სხვა ფრინველები ხომ უკვე გაფრინდენ!

— დაწყნარდით, ამბობდენ მოხუცებულები, ჯერ ჩვენი დრო არ დამდგარა. ყველაზე ადრე მიფრინავენ ის ფრინველები, რომელნიც ყველაზე გვიან სტოვებენ საშობლოს ჩვენ და მერცხლები ყველაზე ადრე ვტოვებთ საშობლოს და ყველაზე გვიანაც ბრუნდებიან, ეს ბუნების კანონია.

ჩვენც მოთმინებით ვიცდიდით და როდესაც დადგა აპრილი საშობლოში სიხარულით გავემგზავრეთ.

(დასასრული იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანები.

გრგვალი ვარ და კუზიანი,
გარს მასხია მცველებია,
თუ რაიმე ჯავრი შემჭვდა
წყალში ვცურავ, ვსველდებია.

(წარმოდგენილი ან. კაპანაძის მიერ)

ოდენო ოდნის ოდენო,
სირამ კაჭკაჭის ოდენო,
შენ მოურაობა ვინ მოგცა
მუხუდოს პარკის ოდენო.

—

ერთი რამეა — მის სიტყვას
ყველანი დაიჯერებენ.

—

პატარა წიწკინტელა
ბატონის საყვარელია.

ანდაზები.

მიმინო რომ გაძღებაო, ხელზე აღარ დადგებაო.

—

მელიას კუდის მოქნევამ, ქათამს თვალი გამოსთხარაო.

—

ანაგრამა.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილის მიერ)

პირველი არის ქონება,
სიცოცხლით შეძინებული,
მის მეოხებით მკვდარია,
კეთილათ მოხსენებული.

მეორე ყველა ნივთია
ჩვენგანვე მოხმარებული;
სალამო ხანზე მესამე,
გუთანზე არის ქებული,
საჭმელი მეხრეებისა,
ძველთაგან დაარსებული,
სამივე შვიდი ასოთი,
საწერათ მომზადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიავი!



მე ნიავი ვარ, ნიავი,
დავქროლავ მთა და ბარათა,
მთებში ხან ჩირგვებს ჩავკოცნი,
ხან რუს ჩაურბენ წყნარათა!

ლაღი ვარ,—დარდი, ვარამი
ჩემთვის სულ უცხო ხილია,
მტრობა და სხვების ძაგება
ჩემგანვე დაგმობილია!

მთის საიდუმლოც თან დამაქვს
ბარელთა დასახარბათა:—
მთებში თუ როგორ ყველანი
თავისუფლობენ ხარბათა!

რასაც ბუნება გააჩენს,
მას მიირთმევენ ძმურათა,—
და ატარებენ ამ გვარათ
ცხოვრებას საამურათა!

ერთი-მეორის ატანა
მთიულთა ადათ-წესია,
ბარელებმაც რომ წაჰბაძონ
მათთვისვე უკეთესია!

შრომა უმწიკვლო და წმინდა,
გარჯა და პატიოსნება:
ასეთი არის მთის შვილთა
ფიქრი, ზრახვა და ოცნება!

მეც ეს მახარებს მთის ნიავს,
დავქროლავ მთა და ბარათა,—
მთებში ხან ჩირგვებს ჩავკოცნი,
ხან რუს ჩაურბენ წყნარათა!

ლადო გეგეჭკორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელ კაბას ამბავი.



ერ დიდ ბოსტანში, ღობის აქეთ, მშვენიერი სასახლე იყო გამოჭიმული. არ ვიცი იმისი პატრონი რა მოხელე ბრძანდებოდა, მაგრამ ის რომ დიდი ბობოლა იყო, იქიდან სჩანდა, რომ დილა ადრიან ეს ვაჟ-ბატონი თავით-ფეხამდინ აბჯარ-აფთრით აისხმოდა, უშველებელ რქებს წამოიდგამდა და, როგორც შეეფერებოდა მის დიდ-კაცობას, თეთრათ ჩატუკნულ-ჩასუქებული სანადიროთ დინჯათ გასწევდა.

რა ვიცი იქნებ სანადიროთაც არ მიდიოდა, ეს კი იყო რომ მუდამ დღე სასახლიდან გამობრძანებული საითკენღაც ეშურებოდა. მარმარილოს მგზავსი სასახლე კი დაცარიელებული დიდებულათ იდგა პრასის ხეივანში და მზის შუქზედ მრავალ-ფრათ პრიალებდა.

ერთ მშვენიერ დილას ლოკოკინა სეირნობას და ლამაზ მიდამოების დათვალიერებას ისე გაეტაცა, რომ რუზედ გადმობრძანებულს ვერ შეემჩნია საქათმის ახლო თავი როგორ ამოეყო. ამ დროს აკი იმ შეჩვენებულ მამალს ღობიდან თვალი შეესწრო, ესკუპა და მეხივით თავს დასცემოდა. მამალს ერთხელ კი თავში ჩაერაკუნებინა და თან იმისთანა რუკრუკს მოჰყოლოდა, რომ ჭროღას, ნაცარას, ღაბუას და ქოჩორას მეტი სიჩქარით კინალამ კისრები მოეტეხათ. ყველაზე უწინ ღაბუა მისულა, დაუკრავს ნისკარტი და გაუცუხცუხებია. დანარჩენებიც უკან გამოსდგომიან და გაჩაღებულა ერთი სირბილი და წიოკობა. ცალ ფეხზედ შემდგარი მამალი კი ისე ამაყათ და ისეთი სიამოვნებით შესცქეროდა, გეგონებოდათ ბედნიერება ქვეყანაზედ ამას მოუგონიაო.

ესე და ამგვარათ საწყალი ლოკოკინა წუთერ სრულის სიამოვნების ჟამს გამოასალმეს.

იმისი სარჩო-საბადებელი ხომ დარჩა ისე ოხრათ და ტიალათ. მას შემდეგ გარშემოც სულ მთლათ გამოყრუვდა და მიწყნარდა. ესლა იყო რომ დაობლებულ სასახლეს ქარი დილა-საღამოს თმა გაწეწილი მოაწყდებოდა, იტირებდა, იქვითინებდა; გამწარებული ერთი-ორ გოროხს შეაგდებდა, ან ჩალის ბეწვს ყარაულათ მიაყუდებდა და ისევ სადღაც გაჰქრებოდა.

ვინ იცის იქნებ ქარს ის დიდებული ნაშთი ნაგვით და ღორღით აევსო და ისე უბრალოთ გაეტიალებინა, თუ რომ მას მალე პატრონი არ გამოსჩენოდა. მართალია, ნასახლარში მდგომ წითელ კაბა ჭიას ნათესავის უდროვოთ დაღუპვის ცნობა გვიან მოუვიდა, მაგრამ ერთი წამი იყო, რომ იგი ვაჟ-კაცურათ ცხენს მოაჯდა, მოკლე გზით გამოაჭენა და დაობლებულ სასახლეს მოადგა. ის ღმერთმა იცის, რა მწუხარებაც მან განიცადა სასახლეს რომ მოუახლოვდა.

შორიდანვე, მოჰკრა თუ არა იმ არე-მარეს თვალი, იმ წამსვე ის განსვენებული და პატიოსანი ბიძა თვალ წინ ნათლათ დაეხატა. აცრემლებული თვალებით ცხენიდან მალე გადმოხტა, სასახლეს ჯერ გარშემო მოუარა, შემდეგ შევიდა, ბევრი იტირა, ივაგლახა, მერე დაასუფთავა და დასახლდა. მას შემდეგ წითელ კაბა განცხრომით იქა სცხოვრობდა.

ამბობდნენ, რომ ახალი მოსახლე ბიძასავით კაი წესიერ-მომავლობისაო, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, ძლიერ ღარიბი გვარიშვილობისაო, და აბა წინათ ამისთანა სასახლეს იმას ვინ მიართმევდა?

მერე რა ძლიერ უყვარდა სილამაზე და განცხრომა!

უყვარდა და აკი იმიტომ ლამაზ მიდამოს თვალს აღარ აშორებდა! მეტადრე მთვარის შუქზედ ალაპლაპებულ სასახლეს პირდაპირ აღტაცებაში მოჰყავდა. ბევრჯერ აივანზედ მჯდომს და ოცნებით გატაცებულს რიჟ-რაჟი თავს ისე დაატყდებოდა რომ ძილი არ გაახსენდებოდა.

ხან კი დილა ადრიან გარეთ გამობრძანებული ამაყათ ისე დაიწყებდა ცქერას, ვითომ არ ამჩნევდა, რომ ხშირ ბალახში გზა დაბნეული, შავ-წვერ ულვაშა ჭია, ან მოუსვენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ჭიანჭველა უცებ სასახლესთან გაჩერდებოდნენ და გან-
ცვიფრებით ათვალიერებდნენ. თუმცა ისიც უნდა მოგახსე-
ნოთ, რომ რამდენათაც სასახლე მართლაც ლამაზი და შშვე-
ნიერი სადგომი იყო, იმდენათ წითელ კაბას რაღაც შიში და
მოუსვენრობა ემჩნეოდა. თითქოს არა სჯეროდა, რომ იგი
მას ეკუთნოდა. თითქოს ისიც ძლიერ ეუცხოებოდა, რომ იმ
სიმდიდრით ის ერთათ ერთი სულიერი სარგებლობდა იმ
დროს, როცა მრავალი მისი მონათესავენი შიმშილით იხო-
ცებოდნენ და ბევრჯელ ღრინჭოლას ქვეშ თავ-შესაფარს
ძლივს პოულობდნენ.

რა ვიცი ეგ იყო მიზეზი, თუ არა, წითელ კაბა სიამოვ-
ნებასთან ერთათ მოუსვენრობასაც კი გრძნობდა და..!!

ერთხელ მას ძლიერ გვიან გამოელვიძა. გააჭყიტა თვა-
ლები თუ არა, წითელი კაბა მარდათ გაისწორა და პირის და-
საბანათ წუწნელას ცვართან გასწია. იქიდან უნდა ავათმყოფ
ბღუნძელასთან შესულიყო და ამბავი გაეგო. გამოვიდა თუ არა
დერეფანში შიშისაგან კინალამ იქვე წაიქცა: ჩარდახივით გად-
მოფარებულ აივანზედ ვიღაც უცხო პირს ზღვის იალქანივით
აბრეშუმის თოკები მრავალ მხრივ გაებ-გამოება, შუა გულას
ისეთი მშვენივრათ მოექარგა და ისეთი სახე ჩაეწნა, რომ წი-
თელ კაბა ვერ მიხვედრილიყო რას ნიშნავდა ყოველივე, ან
ვინ იყო, მტერი იყო იგი მისი თუ მოყვარე? მან ჯერ შიშით
უკან დაიწია და თვალყურის დევნა დაუწყო.

— ღმერთო, ფიქრობდა იგი, ნეტა ვინ არის, ღვთის ასლ-
ლია, თუ მხოლოდ ნიჭით დაჯილდოვებული უბრალო მწე-
რი? რასა შვრება, თქვენი ჭირიმეთ; თითქოს მისი სული ქმნი-
დეს იმ აბრეშუმის თოკებს. აქეთ იქით თითქოს ოდნავ ეამბო-
რება და იმ ამბორით იბადება ეს დიდებული შემოქმედება.

—ღმერთო! რა ნაზათ ირხევა ნიავის ოდნავ დაქროლვაზედ.
აგერ ახლა ზევიდან როგორ ჩამოეკიდა? რა პატარაა, თვალით
არა სჩანს და რა ბედნიერია! მე რაღათ მინდა თავი ცოცხა-
ლი, რისთვის ვარსებობ ქვეყანაზედ, ასე უშნო და უხეირო,
თუ არაფრის შემოქმედება არ შემიძლიან. აღარ მინდა არა,
რომ თვალი ჩემი ხედავდეს რამეს, გული ჩემი გრძნობდეს
რამეს, რადგან ყველაზედ ულირსს ამ მშვენიერ ქვეყნათ მარ-
ტო ჩემს თავსა ვგრძნობ, ან რისთვის უნდა ვიცოცხლო, ჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა და სმა ხომ ყველას შეუძლიან? — ჩუმათ წარმოსთქვა წითელ კაბამ, და თან ჩუმათ ჩაიქვითინა. იქნებ დიდხანს ყოფილიყო ამ მდგომიარეობაში, რომ მას უცებ პაწია მწერის უდარდელი ბაიათი არ შესმენოდა და იმას არ გამოერკვია. მწერი თითქოს მის სასახლეს დასტრიალებდა, თითქოს მას ტკბილი სიმღერით გარეთ უხმობდა და ანუგეშებდა. მაგრამ, ღმერთო ჩემო! ეს რაღას ნიშნავს? სიმღერა უცებ ყვირილათ გარდაიქცა... ახლა გმინავს!... ნეტა რა მოუვიდა, რა უბედურება შეემთხვა? — წითელ კაბამ თვალებიდან ხელი ჩამოიცალა, მთელი ძალღონით გარეთ გამოჰკრა, გამოეშურა, მაგრამ უცებ გიშერის ფერ ფეხებს თოკები ნაზათ შემოეხვივნენ. ზოგი ცხვირ-პირზედ აედო, ფრიად ნაზათ ეხვევა, თითქოს უალერსებსო, მაგრამ რა დროს ეგ იყო! მწუხარების ხმა ისე ახლო ისმოდა, თითქოს მის გულში იბადებაო და აკი იმიტომ მთელი ძალ-ღონით იწევდა, რომ ჩქარა შეეტყო მის ნათესავს რა უბედურება დაატყდა, რომ შველა როგორმე აღმოეჩინა.

რამდენადაც ხმა მწერისა მწვავდებოდა, იმდენად წითელ-კაბა თავ-განწირვით თოკებს ეომებოდა. ბოლოს ისე ძლიერ გაიწია, რომ დაბლა დაბმული თოკები გაწყვიტა და თან გაიტანა. გავარდა გარეთ, მაგრამ აქეთ იქით რომ მიმოიხედა და იმავ ბადეში, მხოლოთ უფრო ზემოთ გახლართული მწერი რომ იხილა, გულში ისეთი სევდა იგრძნო, რომ ჭკუიდან კინაღამ შეიშალა. ან განა გასაგიჟებელი არა მართებდა, როცა მხოლოთ რამდენიმე წამით აღტაცებულმა საშინელი სურათი იხილა. ის დიდებული ნოქარი, რომლის შემოქმედებამაც მის გულში ისეთი სიწმინდე დაბადა, ამ წამს საშინელ საქმეს სჩადიოდა. მისი მშვენიერი შემოქმედება მხოლოდ ეშმაკის ხელოვნება ყოფილიყო და ის თვალწარმტაცი მშვენიერება საშინელ ბოროტებას თურმე ემსახურებოდა.

— ღმერთო, ღმერთო! რისთვის მომეც გრძნობა ასე მატყუარა, რისთვის ხედავენ ეს დასამიწებელი ჩემი თვალები?... შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, რა დაგიშავა, რათ აწვალებ? ჩამოეცალე, შენი ჭირიმე; მაგასაც ჰყავს შვილები და დედამამა. მაგანაც იცის მღერა და ქვეყნის დიდება. რაზედ სტანჯავ, ეგრე მწარეთ რისთვის აგმინებ? მიშველეთ ხალხნო, ჩემს სახლში უდანაშაულოს მიკლავენ... მიშველეთ, მიშველეთ....

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰკიოდა წითელ კაბა და ხან თოკებს აწვალებდა, ხან მიდამოს მიაწყდებოდა, შველას ეევედრებოდა, მაგრამ გარშემო ყველა თავის საქმეში იყო გართული და არავის არა ესმოდა-რა.

აგერ იქით ძველ ფუტურაოში გამოღრუტნულ დარბაზს კრაზანა უდარდელი კალატოზივით აღიღინებული ტალახით ჩუქურთმიან დერეფანს უკეთებდა. ძირს პაწია კუდ-ბაწარა ბალახებ ქვეშ ისე გარბოდა, თითქოს რაშს შემოსჯდომია და ციხე-დარბაზის დასაცავათ მიჰფრინავსო. ფერდობზედაც ერთი ჭიანჭველა მოსჩანდა, რომელიც დიდი ვაი-ვაგლახით ნახევრათ დაღრღნილ ქერის მარცვალს დასჭიდებოდა და დიდი წვალებით მიათრევდა. გზა-გზა ხან ის მოექცეოდა ძირს და ხან ხორბალი. შორიდან რომ შეგეხედნათ, ვერ გაარჩევდით ჭიანჭველა ეწეოდა ხორბალს, თუ ის მიათრევდა ჭიანჭველას.

სანამ გამწარებული წითელ კაბა დაბრუნდებოდა, აივანზედ ყველაფერი დასრულებულიყო. მწერი საცოდავათ მოგლეჯილი და გონება დაკარგული მთელი არსებით უბედურებას დამონავებოდა. ზემოდან კი, პაწია, თვალით შეუმჩნეველი, მაგრამ მაინც დიდ მუცელა ობობა ხარბათ დასცხრომოდა და ნეტარებას ეძლეოდა. ენა დადუმებულმა წითელ კაბამ ჯერ იმ სურათს შეხედა და შემდეგ სასახლეს ისეთ ნაირათ მიაშტერდა, თითქოს ყველაფერი იჰის ბრალი ყოფილიყო. ბოლოს იტირა, ივაგლახა, რომ მისმა მშვენიერებამ, იქ გატარებულმა მთვარიანმა ღამეებმა ნაზი გრძნობანი გაუღვიძეს და მასთან ერთად, აი ამ დღესაც შეასწრეს რაღას იზამდა, მან გადასწყვიტა რომ იქ ერთი წამიც აღარ დაედგომინებოდა; აიკიდა თავისი ბარგი ბარხანა სასახლეს ქვითინით ერთი კიდევ მიხედა და წყევლა-კრულვით იმ არე-მარეს სამუდამოთ განშორდა. მას შემდეგ ვინ იცის სად არ იხეტიალა. მთა და ველი აღარ გადურჩა, ყველგან მოიარა და მოიწანწალა, მაგრამ გული რომ ვერსად დაიმშვიდა, ერთ დღეს რაღაცა ჩანგურივით დასაკრავი გამოიგონა, ხელში აიღო, მიჯდა ლენცოფას ძირში და მშვენივრათ დააწკრიალა. მას შემდეგ იმის მეტი არაფერი არ გაუკეთებია. არცა სჭამდა, არცა სვამდა და თუ სასახლეში დაბადებული ოცნება გაახსენდებოდა, აბა მაშინ უნდა გაგეგონათ მისი დაკრული! იმ დროს ბალახებს რომ ენა ჰქონოდათ ესათუოთ იტყოდნენ რასმეს; ყოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მათგანი, ვინც კი მის მღერა-დაკრულს ყურს
წელში მძიმეთ იხრებონენ და ყოველ ფოთოლიდან ცრემლებს
აფრქვევდნენ.

ერთხელ იმ მხარეს თავ-გიშერას და გრძელ ულვაშას გა-
მოეარათ და წითელ კაბას მღერისათვის ყური რომ მოეკრათ
თავგიშერას-გულში გადაეწყვიტა—ჩემს ვაჟკაცობას ამას შევწი-
რავ და თავს მხოლოდ ამას ვანაცვალებო. ჩასციებოდა, შენ
გენაცვალე ცოლათ გამომყეო და სიმღერის მეტს არაფერს
გაგაკეთებინებ, ისე მოგივლი, რომ ცივ ნიავს არ მოგაკარებო.
წითელ კაბას რასაკვირველია გაგონებაც კი არ უნდოდა,
რადგან თავის მუზიკას ახლა ყველას არჩევდა. „ასე ვიქნები
მარტოკა და მარტოკავე სული საღმე ამომძვრებაო“. ან კი
ამისთანა გადაწყვეტილება რა გასაკვირველი იყო. ჯერ იყო
და იმის ბიძას, კეთილ და უწყინარ ლოკოკინას თავი მიწაზედ
უგალეს, გარეთ რად გამოხვედი, მზე რისთვის დაინახეო; მე-
რე იყო და იმისავე სახლში მშვენირების სახით ისეთი საში-
ნელი ბოროტება იხილა.... მაშ როგორლა უნდა ეფიქრა კე-
თილი, ვინ იცის ამ წუთი სოფელში ვინ რა, რჯულისა იყო,
ვინ ვისი მტერი შეიქნებოდა, განა იმან იცოდა რამე? ბარემ
ასეთ გადაწყვეტილებას დაადგა წითელ კაბა, მაგრამ იმ შეჩვე-
ნებულმა თავ-გიშერამ რომ აღარ მოუსვენა! იმდენი ეცადა,
იმდენი ეშმაკობა გასწია, რომ როგორც იყო ბოლოს მაინც
დაიყოლია და პირობაც ჩამოართვა. ეს ამბავი მთელ ტყეს
ერთ წამს მოედო; ყველამ გაიგო, რომ თავ-გიშერა წითელ-
კაბაზედ დაინიშნა და მალე ქორწილსაც აპირებდა. ქორწილ-
ში აუარებელი სტუმრები იყვნენ დაპატიჟებულნი. ჭია მარიამ
მთელი ქვეყანა გადათელა, ყველა ყვავილს ეწვია, ყველას ახა-
ლი შეკერილი კაბა გაუშინჯა რომ რომელიც მოეწონებოდა
ქორწილისთვის სწორედ ისეთი კაბა შეეკერა. წელ-კავიანი
ქურდბაცაცა ჭიანჭველა საკუჭნაოს ამზადებდა, რადგან მზარე-
ულათ იყო მიპატიჟებული და აბა, ქორწილიდან უფრო ბევრს
არ იზურგებდა? ჭრიჭინამ თავის ჩანგურს ახალი სიმები ჩაობა,
დღისით კი ხმა გაკმენდილი შავ ქათიბს იკერებდა და შები-
ნდდებოდა თუ არა, სადმე თავთუხის ძირას მიჯდებოდა და დი-
ლამდინ ხელებს იქნევდა, მოსვენება აღარ იყო იმის მუზიკისა-
გან. ერთი სიტყვით ყველა დიდ მზადებაში იყო. გახარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულმა მეფემ კი უოწყავში ისეთი მშვენიერი სახლი დაიჭირა, რომ ყველა ამბობდა მეფის მგზავსათ იცხოვრებსო. და მართლაც, გინახავთ თქვენ ვარდ-კაჭაჭა? სწორედ ის ვარდ-კაჭაჭა, რომელიც გაზაფხულზედ ენძელას შემდეგ, ყველაზედ უწინ მიწიდან ამოჰყოფს თავს თუ არა, ზესავით ყვითლათ გადაიპენტება და თითქოს ზეცას ეკამათება: თუ შენ ერთი მზე გყავს, დედამიწას ათასიო. შემდეგ ეს ვარდ-კაჭაჭა გაიზრდება და მაისის დამდეგ, იმ დროს, როცა დედამიწა ათას ნაირ ყვავილებით მოიქარგება, მას თითქო არა სურს, რომ მრავალთა ჰავდეს, ყვავილებს გაიყრეინებს და მზისაკენ ამართული დაგვირგვინებულ მეფესავით თავზედ ჰაეროვან არახჩინს იდგავს. მაშინ მართლა იგი სხვას არა ჰვავს. იქნებ გვერდზედ რომ გაუაროთ, ყვავილთა შორის ის ვერც კი შეამჩნიოთ, მაგრამ თუ თვალი მოჰკარით უსათუოდ გაიღიმებთ, რადგან გიხარიანთ, რომ ბუნება ისეთი თვალთ მაქცია და დიდებული შემოქმედი. ჰო, და აი, სწორედ ეს ვარდ-კაჭაჭა ამოირჩია მეფემ სახლათ. ქორწილის დღეც დადგა და მთელმა მწერთა სამეფომ ვარდ-კაჭაჭას ქვეშ სეირის საყურებლათ თავი მოიყარა. ერთ ალაგას ფუტკრებს ზურნა შემოეძახათ და პეპელეებს ლეკური გაეჩაღებინათ; მეორე ადგილას მწვანე მუცელა ჭია ჯამბაზობას ეწეოდა და ხალხს სიცილით ხოცავდა: შუადღისას კი უცებ გრგვინვა გაისმა:—მეფე-პატარძალს მოულოცეთ, მოდიანო და რუსთან ახალ ჯვარდაწერილებს კიჟინით მიეგებნენ. ასტყდა კოცნა და ძილოც-მოლოცვა. შემდეგ სუფრაც გაშალეს, შემოუსხდნენ და სადღეგრძელოებს მოჰყვნენ. ერთი სიტყვით დიდი ლოთობისა და დროს გატარების შემდეგ სტუმრები ძლიერ ნასიამოვნები დაიშალნენ. ქორწილის შემდეგ მეფე-პატარძალი ახალ სახლში დასახლდნენ. უნდა გითხრათ, რომ საუცხოვო სადგომი იყო: შუშის მგზავს კედლებიდან მთელი ქვეყანა როგორც ხელის გულზედ ისე მოსჩანდა.

მზე, მთვარე და ვარსკვლავები ცის გუმბათზედ ერთიც ვერ დაიმალებოდა ისე, რომ უწინ იმ სახლში არ ჩაეხედა. ერთი სიტყვით ლამაზი რამ იყო იქაურობა და აკი პატარძალს წინანდელი ამბავი გადაავიწყა.

ერთხელ მეფე შინ არა ბრძანდებოდა. პატარძალი მოლოდინში ფანჯარასთან იდგა და გამხიარულებულ მიდამოს გას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცქეროდა. ძირს მრავალ ფერ ყვავილებზედ პაწია ჭიებს ფერ-ხული დაებათ და ცეკვავდნენ. ჰაერში კოლოები შეგროვილიყვნენ და ერთმანეთს ვაჟ-კაცობაში ეჯიბრებოდნენ. ხან ერთი გამოხტებოდა განზედ მუჯლუგუნ წაკრულივით და ხან მეორე. მას სხვები თან მოჰყვებოდნენ, პაწია ჭაობს თავს ეხვეოდნენ და ერთ ალაგას არ სცილდებოდნენ. აქეთ, რუს პირათ ერთი ბეპელა მეორეს დასდევნებოდა და რომ ვერ მოსწეოდა სიცილით კვდებოდა.

— ახ, რაკარგია სიცოცხლე, რა ბედნიერებაა, რომ ყველაფერს ხედავ. სწორედ სამოთხეა ჩვენი ცხოვრება,—თავისთვის ფიქრობდა ფანჯარასთან მდგომი პატარძალი და იმას კი ველარ ამჩნევდა, რომ ცაზედ მცურავი ორიოდ ღრუბლის ნაჭერი უცებ ზეცას შავ მანდილათ გადაეკრა, მზემ მოიქუშა, სადღაც მთის იქით ისე ძლიერ დაიქუხა, რომ მთა-ბარი გრგვინვით აავსო. სანამ ჭია გონს მოვიდოდა, ტყემ უცებ გუგუნი შეჰქნა, ბებერმა წიფლებმა წელში საცოდავათ დაიჭრიალეს და ვერხვის კენწეროებმა შეშინებულებივით თავების ქნევა დაიწყეს. ამ წამს ტალღამ ქარისამ ველზედაც გადმოირბინა, ბუერას ფოთლები ხომალდის აფრასავით აატყლაშუნა, და ვარდ-კაჭაჭასაც მოაწყდა და მისი ლამაზი არახჩინი ვინ იცის საით გაიტაცა. არახჩინთან ერთად თავზარ დაცემულ პატარძალსაც ძირს ტყაპანი მოსძვრა. მან ფეხზედ წამოდგომა მოასწრო და, თითქოს გულს არ უჯერებსო, უკან ერთხელ კიდევ მიიხედა და დაინახა, რომ მისი მშვენიერი სადგომი აღარ იცნობოდა: ხელოვნურათ მოჭედილ შუშაბანდის მაგივრათ, პაწია ლილის მგზავსი თავზედ რაღაც შერჩენოდა და ცალ ფეხზედ სასაცილოთ წაკაკული ჭიასაც შორიდან თითქოს სასაცილოთ იგდებდა. მეორე დღეს ყველაფერი ისეთივე ლამაზი და მომცინარე იყო, თითქოს გალმა ძირიან ფესვიანათ დაგლეჯილი ხეები რიყეზედ გულდალმა არა ყრილიყო; თითქოს მუხა კლდეებზედ მეხ დაცემული არ ჩამოჩეხილიყოს და მრავალი ფრინველთ ოჯახობა არ დალუპულიყოს. მხოლოთ ჩვენ ნაცნობ პატარძალს იის კაბის კალთის შემონაგლეჯი ხელში ხელცახოცათ დაეჭირა და მწარეთ გალექსილმა აღარ იცოდა ოჯახის დანგრევა, ქრმის დახრჩობა, თუ თავისი ცალი ფრთის მოგლეჯა გამოეტირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აღარაფერი არა მჯერა, ამ თვალთამაქცი წუთი ფლისა! თქვენი ჭირიმეთ, ეს რა ცეცხლია, ესე უცებ პირუკულმა როგორ დავიმარხე! — მოსთქვამდა ჭია, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ იმ წამს იქაურობა ისეთი ლამაზი იყო, თითქოს ის დამახინჯებული ძურწაზედ საცოდავათ წამოსკუპებული და უბედური ჭიაც კი საჭირო იყო საერთო მშვენიერებისათვის.

ცქვიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესი პატიმარი.

პაპი პიო X.

ომაელთა პაპი მთელი კატოლიკეთა ეკლესიის თავი და თავია. მას ექვემდებარება ყველა კატოლიკეთა რჯულის ხალხი. ამორჩეული 1903 წელს პაპი პიო მე-X გარდაიცვალა წრეულს 6 აგვისტოს და მისი ცხოვრების აღწერა გვიმტკიცებს რა შესანიშნავი პირი იყო ეს მდაბიო ხალხიდან გამოსული მღვდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც რომში სამღვდელოების კრება შეგროვდა ლეონ მე-XIII მაგივრათ პაპის ამოსარჩევათ გავარდა უცებ ხმა: ვილასაც წარუდგენია პაპის ადგილზე ამოსარჩევათ ვენეციის ქორ-ეპისკოპოზი ჯუზეპე სარტოო!

ყველა გაკვირდა, სასაცილოთაც არ ეყოთ.

— სარტო? სოფლის უბრალო მღვდელი, რომელსაც ორი სიტყვის თქმის შნოც არა აქვსო?!

მაგრამ თან და თან ხშირათ გაისმოდა ამ უმნიშვნელო კაცის სახელი.

ჯუზეპე სარტოს მახლობელნი და თვით მისი პირადი და პოლიტიკური მტრები ხედავდენ მასში ერთ ღირსებას:

— იგი სამართლიანი, გულ წრფელი და ალალ მართალი კაცია. მისი სიტყვა სიმართლეს ღალადებსო.

ჯუზეპე სარტო სთხოვდა სამღვდელოების კრებას: ნუ წარმადგენთ პაპის ადგილზეო. იგი აღელვებული ეხვეწებოდა ყველას—თავი დამანებეთო და გულ წრფელათ იმეორებდა:

— განა გამოვდგები ასეთი უმაღლესი თანამდებობისთვის, მერე ამისთანა საძნელო და საშიშო დროს? მე ხომ უბრალო სოფლის მღვდელი ვარ! ღმერთი იწამეთ, ნუ დამღუპავთ; გამიშვით ვენეციაში!

მაგრამ 4 აგვისტოს 1903 წელს დიდი ზეიმით გამოაცხადეს:

— რომის პაპათ ამორჩეულია ვენეციის ქორ-ეპისკოპოზი ჯუზეპე სარტო.

ასე მოხდა, რომ მოციქული პეტრეს ას მეთორმეტე მოადგილეთ ამორჩეული იქმნა პიო X.

სოფლის მღვდელი.

იტალიის სოფლებიდან დიდ ძალი მღვდლები გამოდიან. ცოტაოდნათ შემძლე სოფლის ოჯახი ბედნიერათ სახავს თავს, თუ ერთ შვილთაგანს მაინც მღვდლათ გამოზრდის.

ამის გულისთვის ოჯახი ყოველ გვარ გაჭირვებას კისრულობს, არ ზოგავს თავს სამსხვერპლოთ. ამიტომაც არის რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იტალიაში, არსად არ მოიპოვება იმდენი მღვდლები, რომელნიც თავიანთი ჯამაგირით კი არა, ოჯახის შემწეობით ინახავენ თავს ათი და მეტი წლობით და ეს ოჯახები თავ-მომწონეთ გაიძახიან:

— ჩვენ ჩვენი საკუთარი მღვდელი გვყავს.

ერთ ამ გვარ მოჭირნახულე ოჯახში სოფელ რიეტეში დაიბადა 1835 წელს, 2 ივნისს ბავშვი, რომელსაც სახელათ დაარქვეს ჯუზეპე. გვარი მისი იყო სარტო, ჩვენებურათ ნიშნავს თერძს. ეს გვარი უსათუოთ გამოჰყვებოდა რომელიმე ოჯახის წევრის ხელობის გამო.

ჯუზეპე სარტომ ყმაწვილობაშივე გამოიჩინა გამჭრიახობა და ნიჭი. როცა მისი მრავალი ძმები და დები მისდევდენ ჩვეულებრივ სოფლის საქმეებს ჯუზეპე თუმცა ბატებს და ღორებს უდგა, მაგრამ ჩაიგდებდა თუ არა დროს გარბოდა სოფლის სკოლაში.

— ჩვენ რომ ცოტათი მაინც გავიჭირვოთ საქმე და ჯუზეპე სკოლაში გამოვზარდოთ, იქნება ჩვენც ჩვენი პატრი გვყვანდესო! ამბობდა ოჯახი.

1858 წელს გამართლდა ოჯახის ოცნება. 23 წლის ყმაწვილი, ჯუზეპე სარტო, აკურთხეს მღვდლათ.

ეს ოჯახი იყო ჩრდილოეთ იტალიის შრომის მოყვარე და თავ-შენახული შემძლე გლეხისა.

1875 წელს სარტო გახადეს ტრევიზონის სასულიერო სემენარიის რექტორათ. 1880 წელს განიზრახეს გაეხადნათ ტრევიზონის ეპისკოპოზათ, მაგრამ მან უარი გამოაცხადა, მაგისთანა მაღალი ადგილის ღირსი არა ვარ და არც მომზადებული ვარო. პაპი ლევ მე-XIII პირადათ იცნობდა მას და დიდათ აფასებდა მის კარგ თვისებებს.

— მართალია დიდი ნიჭიერი არ არის, მაგრამ ფაქიზი ზნეობის კაცია, შრომის მოყვარე, სამართლიანი, ენერგიით სავსე. ყველასაგან პატივცემულია, უფრო თავისი სამაგალითო კერძო ცხოვრებით. ცოტათი კმაყოფილდება, სპარტანული ხასიათისაა, მიწიური ფუფუნება ეჭავრება.

ამას უნდა დაუმატოთ რომ ჯუზეპე სარტო თავისი გლეხური გამჭრიახობით და თავისებური გონებით მეტად კარგათ აწყობდა საქმეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 1884 წელს უკვე 51 წლის ჯუზეპე სარტო პაპეს ლევ მე-XIII, პირადი ბრძანებით გახდა ჯერ ქორ-ეპისკოპოზათ და მერე, ცხრა წლის შემდეგ „შესამჩნევი და განსაკუთრებული სამსახურისთვის“ დანიშნეს ვენეციის პატრიარქათ.

რა განსაკუთრებული სამსახური გაუწია მან ეკლესიას?

ისა რომ დიდი თაოსნობით და წესით მოაწყო ეკლესიის შინაური საქმეები და მარჯვეთ ებრძოდა ეკლესიის წესების მოწინააღმდეგეებს.

ისიც მართალია, რომ მას დიდათ უწყობდა ხელს მაშინდელი მარჯვე დრო.

ვენეციის სათნო რესპუბლიკა ყოველთვის იჩენდა ერთგულობას კათოლიკეთა სარწმუნოებისადმი.

ვენეციის პატრიარქს სარტოს კერძო ღირსებაც მიუძღოდა, მან თითქმის პირველმა ეკკლესიის მსახურმა დროის შესაფერათ ალღო აიღო და კათოლიკების მტერთა ბრძოლაში მათივე ფარხმალის ხმარება დაიწყო.

მან კარგათ შეიგნო, რომ ამ დროში ძნელია ხოლო მომავალი ნეტარების დაპირებით ხალხის დაკმაყოფილება, რომ მას სწადიათ ამ ცოდვილ დედა-მიწაზევე მიიღონ ცოტაოდენი ნეტარება მაინც.

და სარტომ დაიწყო ამ ფარგლებში მუშაობა: აარსებდა მღვდელთა კომერციულ და საქველმოქმედო დაწესებულებებს, მშიერი და უსაქმო ხალხისთვის ქარხნებს და სახელოსნოებს ხსნიდა, უბინადრო ხალხისთვის თავშესაფარებს, ავათმყოფ კატოლიკეთათვის სამკურნალოებს; სოფლებისთვის ბანკებს, სანოვაგეების საწყობებს, დასაზღვევ კასსებს, ურთი ერთ დამხმარებელ საზოგადოებებს.

ერთი სიტყვით ეკლესია მიეშველა ხალხის ეკონომიურ გაჭირვებას.

პაპი ლევ XIII ყოველთვის ყურადღებით თვალს ადევნებდა და მფარველობას უწევდა ამ უწმინდეს პირის მოქმედებას.

იეზუიტებიც აგრეთვე მის მოქმედებას ყურადღებით შესცქეროდენ.

და ყველა თავისებურათ აფასებდა. ბოლოს სამართლიან დასკვნას დაადგენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბევრს არაფერს უნდა მოველოდეთ... მაგრამ, ალბათ, გამოდგება „სარწმუნოების ცეცხლის გასაძლიერებლათ“.

დასალოცავი ფანჯარა.

პეტრე მოციქულის სახელობით აგებული რომში და მთელ ქვეყანაში განთქმული ძეგლი-ტაძარის წინ უდიდესი მოედანია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შესანიშნავი სვეტი, რომელიც თითქოს ფარავს ახლო-მახლო მყოფ ნახევრათ დანგრეულ რომის ძველ უბნებს. სწორეთ ამ სვეტის მარცხნივ მაღლობზე ამართულია ვატიკანის სასახლე.

და აი ამ ვატიკანის სასახლეშია ეს დასალოცავი ფანჯარა.

ახლათ არჩეული პაპი ამ ფანჯარაში გამოჩნდება ხოლმე და აქედან რომაელებს ლოცვა-კურთხევას უძღვნის.

იმ დღეებში, როდესაც თავმოყრილია უწმინდესი სამღვდელოება, წარმომადგენელნი წმიდა ეკლესიისა, ამ ფანჯარას შესცქერია ასი ათასობით ხალხი.

ყოველთვის ამ შესანიშნავ ფანჯრის წინ მთელი დღე-ღამეობით ურიცხვი ხალხი დგას მოლოდინში, რომ ახლათ ამორჩეული პაპი გამოჩნდება. მერე

არტო რომაელები ხომ არ არიან. იტალიის ყოველ კუთხიდან აქ ასობით იგზავნება ხალხის წარმომადგენლები, მეტადრე როდესაც აქ თავმოყრილია უწმინდესი სამღვდელოება.

პიო მე-IX როდესაც ამორჩეული იყო თავის დროზე შეასრულა წესი და ხალხს წარუდგა ფანჯარაში. მხოლოთ მასუკან ამ ისტორიულ ფანჯარას აღარ ეკარებოდენ, რადგან შეურაცხეს რომი და მეფის ზარბაზნები დაუშინეს ამ წმ. ქალაქის კედლებს.

სწორეთ იმ დღიდან რომის პაპიმ დასახა თავის თავი ვატიკანის პატიმრათ.

პიო მეცხრეს შემდეგ ვატიკანის პატიმრათ გახდა ლევ მე-XIII, ის არ მივიდა ფანჯარასთან და მოედანზე მოლოდინში მდგომი ხალხი არ დალოცა. ამითი იმან წინააღმდეგობა გაუწია საკოის გვართა მეფეების ძალადობას, რომელნიც შეეხენ მეფე—პაპის წმიდა უფლებებს რომზე და რომაელთა ქვეყნებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა კათოლიკეთა და მეტადრე რომაელთა მხრივ საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია იმ ძალადობამ.

ლევ XIII თავის საქციელს მარტივათ ხსნიდა:

— პაპის შეურაცყოფა ასე მალე არ დაივიწყება.

გავიდა 33 წელიწადი, ბევრმა ჩაილულის წყალმა ჩაიარა. ბევრნაირი შეურაცხობა დავიწყებული შეიქნა!

და 4 აგვისტოს 1903 წელს პეტრე მოციქულის მოედანზე დიდ ძალმა ხალხმა თავი მოიყარა.

— ახალი პაპი დაგვლოცავს ჩვენო!

ახლათ ამორჩეული პაპი პიო X, რომელსაც ცრემლები ჯერ არ შეჰშრობოდა თვალებზე, აღელვებული, ის იყო უნდა მიახლოვებულიყო ფანჯარას.

მოედანზე ხალხი ჩაჩუმდა, ბუზის ფრენაც კი მოისმოდა. ყველა სასოებით მოელოდა პაპის დალოცვას. აგრეთვე ხმა გაკმინდეს მის გარშემო მდგომმა უწმინდეს სამღვდელოებამ.

როდესაც პიო X ფანჯარასთან სრულებით ახლო მივიდა უკანიდან მოესმა ხმა:

— საით?

ამბობენ რომ ვიღაც ხელითაც შეეხო ახლათ ამორჩეულ პაპის.

— ხალხი მინდა დავლოცო.

— არ შეიძლება, თქვენო მაღალ უწმინდესობავ! თქვენ დაგავიწყდათ, რომ...

მართალია, მას, სოფლის უბრალო მღვდელს, რომელიც უცაბედათ გახდა ასეთი მაღალ ხარისხოვანი, სრულებით დაავიწყდა, რომ რაკი პაპი გახდა, ამასთანავე მძიმე ხვედრიც იკისრა. მას დაავიწყდა, რომ ის უნდა წინამოადგილეების გზას დადგომოდა. იმათი მტრები — ამისი მტრები იყვენ, რომ მისი პირველი ნაბიჯი კურთხევა და დალოცვა კი არ უნდა ყოფილიყო განცხადება:

— წინააღმდეგი ვარ იმ მოძალადეებისა, რომლებმაც პაპის წაართვეს მისი კანონიერი უფლება — მოციქული პეტრეს ქალაქი, რომი; წინააღმდეგი ვარ აგრეთვე იმ მოძალადეებისა, რომლებმაც წაართვეს პაპის მსოფლიური უფლება რომზე და რომის არე-მარეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღიდან პიო X გახდა ვატიკანის პატიმარი და ამ კვიდრეობით მიიღო თავისი წინამოადგილეების პოლიტიკა: რომ პაპის მოვალეობას შეადგენს—ყოველგვარი საშუალება იხმაროს მსოფლიო უფლების დასაბრუნებლათ, თუნდა ამისთვის საჭირო იყოს უცხოელების მიშველება.

პირველ ხანებში.

პირველ ხანებშივე არაფერი სასიამოვნო და სახეირო არა უნახავს რა ახლათ ამორჩეულ პაპის.

სუყველაზე ადრე, თვით უწმინდეს სამღვდელოების წრეში გავლენიან პირთა შორის ჯუზეპე სარტოს, ან როგორც მაშინვე დაარქვეს პაპი—თერძს, დაუხვდა ბევრი მოშურნე. ამპარტავანი, ზვიადი და თავმომწონი უმაღლესი უწმიდესი სამღვდელოება, რომელსაც ეძახიან შავ არისტოკრატიას, და რომელიც ჩვეულია, რომ პაპის ირჩევენ მათგან, თავს დამცირებულათ გრძნობდა რომ სარტო ამოირჩიეს.

— პაპი უცხოა, ჩვენგანი არ არის.

ვატიკანის მთელი კერძობა თავს შეურაცყოფილათ სთვლიდა.

— პაპი გლეხია! ფეხის გადადგმის შნოც არა აქვს!

განათლებული სამღვდელოებაც დასცინოდა:

— კარგი რამ კი ბრძანდება! უცხო ენა ერთიც არ იცის. ეგ კიდევ არაფერი! თვით იტალიანურ ენაზე არ ეხერხება ლაპარაკი. სულ სხვანაირი კილოთი ლაპარაკობს,—გლეხურათ!

განსვენებული ლევ XIII ნამდვილი მეფე—პაპი იყო, თავიც მეფურათ ეჭირა, მისი სასახლე მეფური სიმდიდრით განსხვავდებოდა. რამდენი მუქთა ხორა, მცონარი იკვებებოდა პაპი ლევ XIII ნასუფრალით—ამის გამორკვევა ძნელია.

და აი ამ ვატიკანის სასახლეში, ამ ზღაპრულათ მორთულ ოთახებში უნდა დაბინავებულიყო უბრალო გლეხის შვილი, ფოსტალიონის და მედუქნის ძმა, რომლის დები იყვენ ერთი სოფლის მრეცხავი და მეორე მებოსტნე. ის კაცი, რომელიც რომში რომ მიდიოდა უწმინდეს სამღვდელოების კრებაზე დასასწრებლათ ყიდულობდა წასვლა-მოსვლის ბილეთს, რომ ორიოდე გროშით უფრო იაფათ დასჯდომოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უცხოდან მოსულ მწირს ელდა ეცა, როდესაც შეიტყო რომ საჯინიბოში ასი ცხენია და ათასნაირი ეტლები.

პაპი ხომ ვატიკანის პატიმარია, ხომ არას დროს არ გამოდის ვატიკანიდან.

— ახლავე გაყიდეთ ეტლებიც და ცხენებიც! მეეტლეები დაითხოვეთ, მე არ მესაჭიროებიან ეგენი! გადაჭრით ბრძანა ამ უცხოდან მოსულმა მწირმა.

რაც შეეხება საკუთრივ პაპის სამზარეულოს, აქაც დიდი ცვლილება მოხდა.

სარტო როდესაც პატრიარქი იყო ვენეციაში მას სადილს უკეთებდა ხოლმე მისი საკუთარი და. პატრიარქის და კალათით ხელში მიდიოდა ვენეციის ბაზარში მწვანეულობის და თევზის საყიდლათ და იქ, როგორც ჩვეულებრივ იტალიაში იციან, უმოწყალოთ ვაჭრობდა და დაბრუნდებოდა თუ არა პატრიარქის უბრალოთ მოწყობილ სასახლეში, თითონვე ხარშავდა გემრიელ საჭმელებს და ამასთანავე უბრალოს, როგორიც იშოვება ყოველ ვენეციის დუქნებში. ახლა, როდესაც ჯუზეპე სარტო გახდა ყოვლად დიდებული პაპი, შეიტყო, რომ მის სამზარეულოში საკუთარი უფროსი ეკონომი ჰყავს, რომელსაც ეძლევა ორმოცი ათასი მანეთი, რომ მას ჰყავს კიდევ ორი თანაშემწე, თითოს ჯამაგირი აქვს ოცდა ათი ათასი მანეთი. ათი მზარეული — თითოს ექვსასი მან. და ოცი მზარეულის თანაშემწე — თითოს სამასი მანეთი.

— ეს სუყველა ერთი კაცისთვის? გაიკვირვა პიო მე-X და მაშინვე ბრძანება გასცა:

— გააგდეთ ეგ ქურდები და მუქთახორები! დაითხოვეთ ახლავე ეგ მცონარეები, რომელნიც ყლაპავენ მაგოდენა ფულს, — მერე რა, — ეკლესიის ფულს.

და ეს დათხოვნილი მუქთა ხორები მოჰყვენ სხვა და სხვა ჰანგზე ყვირილს:

— ეს პაპი არცხვენს ვატიკანს! ნამდვილი გლეხია!

პაპის ამისთანა ხელ მოჭერილობა არც უმიზეზო იყო; როდესაც ჯუზეპე სარტო ავიდა პაპის ტახტზე ხაზინაში აღმოჩნდა მხოლოთ ასი ათასი მანეთი და ლევ XIII ვალი აღემატებოდა რამდენსამე მილიონს. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ რომ

სასახლეში იმყოფებოდა მთელი ჯარი მუქთახორებისა, რომ-ლებსაც უნდებოდათ წელიწადში ათ მილიონამდის.

პაპის ხაზინას ნამდვილათ კოტრობა მოელოდა.

ეს კოტრობა გამოიწვევდა ასიოდე ვაჭართა კოტ-რობას, რომელნიც აწოდებდენ ვატიკანს ყოველ გვარ სურ-სათს — ამას კიდევ მოსდევდა სასირცხვილო ჩივილი, ვატიკანის სამართალში მიცემა და უწმინდეს სამღვდელოებას მთელ ქვე-ყანაზე თავი მოეჭრებოდა.

მოდი და ელდა ნუ ეცემოდა ამ მ'შვიდს და თავმდაბალს ვენეციის პატრიარქს, რომელიც აქამდის თავის თავზე დღეში მხოლოთ სამ მანეთ ნახევარს ხარჯავდა..

ამ პაპისაგან შეურყევლათ შემოღებულმა ყაირათობამ შესძინა მას ურიცხვი მტრები.

პიო X-ს კერძო უბედურება.

პაპი პიო მე-X-ს შინაურ ცხოვრებაზე შემდეგს ამბობდენ:

ეს კაცი თავისებურათ ბედნიერი იყო, სანამ გახდებოდა პაპი. მისი უბედურება იწყება იმ დღიდან, რა დღესაც შე-ვიდა ის ვატიკანის სასახლეში.

ყველაზე უწინ ის იძულებული გახდა მოშორებოდა თა-ვის მახლობლებს, ნათესავებს, რომელნიც უყვარდა და რო-მელთანაც მჭიდროთ იყო შეკავშირებული. როდესაც რექ-ტორი იყო და მერე პატრიარქი, მას გვერდით ჰყავდა დები, შრომის მოყვარენი და კაი გულისანი. როდესაც ესენი მო-ხუცდენ, დისწულები წამოეზარდენ, ისინიც ისეთივე მშვიდნი და კაი გულის ქალები იყვენ, მორცხვნი და თავდაჭერილე-ბი, სიყვარულით და ყურადღებით ეკლიდენ მოხუცს. ჯუზე-პე სარტო მოსვენებით ცხოვრობდა და სრული ბედნიერი იყო.

გახდა თუ არა ვენეციის პატრიარქი პაპი პიო მე-X მას-თანვე გაჰქრა მისი მყუდრო ცხოვრება — დაირღვა მისი საკუ-თარი ოჯახი.

პაპის სწადდა რომ მის მოხუცებულ დებს ეცხოვრათ მასთან, როგორც აქამდის, მაგრამ პიო მეათე ახლა ვენეციის პატრიარქი ხომ აღარ იყო. იგი მოვალე იყო ვატიკანში ეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვრა. ქალებს კი არ შეეძლოთ ვატიკანში ცხოვრება. მას ის კი შეეძლო, რომ დები დაესახლებინა ვატიკანთან სადმე ახლოს.

პაპის არა თუ დღეები—საათებიც ისე მოუწყვეს, რომ ნათესავების სანახავათ თავისუფალი დრო არ მოეპოვებოდა. ღვიძლი დები ძნელათ ხედავდენ ძმას—ისიც სხვების თანადასწრებით.

ამ ქალებს მთელი სიცოცხლე მთებში, მაღალ ადგილებში, ან ზღვის პირათ გაეტარებინათ და ახლა როგორ გასძლებდენ ქვის ბნელ სახლებში, რომელნიც მიეგვანებოდენ პირქუშ რომის ქვის კუბოებს. მოჰყვენ ავათმყოფობას. ექიმებმა გადასწყვიტეს, რომ მათი რომში დარჩენა შეუძლებელია, სიკვდილი მოელისთო. და პიო მე-X დარჩა ვატიკანში უნათესავოთ. დებმა მიატოვებს რომი.

ჯუზეპე სარტო სანამ პაპის ტახტზე ავიდოდა განირჩეოდა თავისი უბრალოო, მდაბიური ცხოვრებით. მეგობრათ და ნაცნობებათ ირჩევდა ვისაც მოისურვებდა. თავისუფალ დროსაც შოულობდა, არავინ უშლიდა ქუჩებში ხეტიალს თავისი ძველი ქოლგით, ვენეციაში ხშირათ დასეირნობდა ნავით, უყვარდა ხალხში გარევა და ბაასი.

ახლა მორჩა და გათავდა, ყველაფერზე უნდა ხელი აეღო.

პაპის რომ ძალზედაც მოსწყენოდა ამ გვარი ცხოვრება და მონდომოდა ვატიკანიდან ფეხის გადადგმა, უსათუოთ მაშინაც შეაყენებდენ, ალერსით და მოწიწებით ეტყოდენ:

— თქვენო უწმინდესობავ! დაგავიწყდათ, რომ..

მაგრამ ამბობენ რომ შარშან პაპი ჩუმათ რამდენჯერმე თავისი სანდო კარდინალის ეტლით სასახლიდან გამოიპარა ერთი ავადმყოფი ამხანაგი კარდინალის სანახავათ, რომელიც რომთან სულ ახლოს ცხოვრობდა.

იმასაც ამბობენ, რომ როდესაც რომში მისი ღვიძლი და კვდებოდა პიო მე-X-მ ალარაფერს დასდია, მიდიოდა მის სანახავათ და მაშინ იგი ყველამ ნამდვილ მეამბოხეთ დასახა.

ის თურმე ერთხელ ბნელ ღამეში, გადაცმული სხვა ტანისამოსით, გამოვიდა ფეხ აკრეფით და ხოლო ნახევარი საათი დაჰყო მომაკვდავ დასთან და ველარ დარჩა მის უკანასკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელ სულის ამოსვლამდის, რადგან ვატიკანში ყველანი განრისხებულნი მოუთმენლათ მოელოდენ მის დაბრუნებას.

1911 წელს პაპი ძალიან ავათ გახდა. ექიმებმა გადასწყვიტეს: ერთათ ერთი საშუალებაა, რომ მოხუცი მორჩეს — უნდა წაიყვანოთ ან ზღვის პირათ და ან მთებში. რომის ჰაერი ჰკლავს მასო.

პაპის ერთგულებმა ფარულათ გამართეს მოლაპარაკება იტალიის მმართველობასთან, რომ პიო მე-X-თვის მიეცათ ნება მოსარჩენათ გასულიყო, ამაზე პასუხი მიიღეს, რომ პაპი სრული თავისუფალია.

მთავრობამ მოამზადებინა საკუთარი მატარებელი, რომ მომაკვდავი პაპი წაეყვანათ სხვაგან ჰაერის გამოსაცვლელათ.

მაგრამ რამდენიმე საათის წასვლის წინეთ მოისმა წინანდელივით მკაცრი სიტყვები:

— თქვენო უწმინდესობავ! დაგავიწყდათ რომ...

და პაპი დარჩა ადრინდელივით ვატიკანის პატიმრათ.

პაპიმ ავათმყოფობა მოიხადა, კარგათ შეიქნა. თუმცა ექიმები დაჟინებით ამბობდენ: გაიყვანეთ პაპი რომიდან, რომი მოჰკლავს მასო.

ასე დალია სული 6 აგვისტოს ვატიკანის უზენაესმა პატიმარმა პიო მეათემ თავის დიდებულ საპყრობილეში.

პაპი პიო X ახლანდელ ომის წინააღმდეგი იყო. თუმცა ავსტრიის მეფე ფრანც იოსების დახმარებით იყო ამორჩეული, მაგრამ როდესაც ფრანც-იოსებმა შემოუთვალა დაგვლოცეო. პაპიმ უპასუხა.

— სისხლის ღვრას ვერ დავლოცავ!

და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ სისხლის ღვრა არ მომხდარიყო.

მაგრამ ომის ამტეხთ არ ისმინეს მისი ჭკვიანური რჩევა.

ანასტასია წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაქრის პური.

(ლიხტენბერგეს მოთხრობიდან (პატარა ტროტი)

ტროტი ზღვის პირას თამაშობს; სწორეთ დედა მისის სახლის უკან ერთი მშვენიერი პატარა ადგილია ზღვის პირას სათამაშოთ, სულ პატარა; იქ არასოდეს არავინ არ სეირნობს; იქ ტროტს ნებას აძლევენ მარტოც ითამაშოს, იმ პირობით კი, რომ ზღვას ნამეტანი არ მიუახლოვდეს; ესეც კია რომ მოსამსახურე ქალი ჟანა ბაღში ზის ხოლმე და იქიდან შეუმჩნევლათ თვალ-ყურს ადევნებს.

ტროტს თან თავისი ბარი აქვს; მან უშველებელი ორმო ამოთხარა და უშველებელი მთაც ააშენა, თითქმის იმხელა როგორიც ის დიდი' კლდეებსავით ქვებია, ზღვიდან რომ თავი ამოუყვიათ ან და ქვიშაზე გაწოლილან.

— ბატონო ტროტ, მოდით თქვენი სამხარი წაიღეთ.

ტროტი აცოცდა ბაღამდის და ჟანას ერთი ნატეხი შოკოლადი და ერთი შაქრის პური გამოართვა, მერე თავის მთას დაუბრუნდა; ჭამის დროს ფეხზე დგომა არაფერი სასიამოვნოა, მთა სავარძლათ უნდა გადიქცეს; ტროტი ზედ დაჯდა, ფეხები ორმოში ჩაუშვა და შოკოლადს კვნეტა დაუწყო; ჯერ ნახატებს გამოიყვანს ზედ კბილებით, მერე მოჭკვნეტს; ძალიან სასაცილოა შოკოლადზე ნახატების გამოყვანა.

მაგრამ ეს რა არის? ტროტის წინ, მიწაზე, რაღაც ლანდი გაჩნდა; ტროტმა ცხვირი ზევით ასწია; მის წინ ვილაც პატარა ბავშვი დგას; ძალიან წვირიანია, ტანისამოსიც გასვრილი აცვია; სახე მთლათ გამურული აქვს, ხელებიც. ტროტმა ბარს ხელი წამოავლო.

— გასწი აქედან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ბავშმა სახეზე მკლავი აიფარა, უკან დაიწია, მერე ქვიშაზე დაეშვა, ტროტის პირ-და-პირ, და შეაჩერდა მას.

ტროტი ჭამას განაგრძობს და თან თითონაც მისჩერებია უცხო ბიჭს. რა გასვრილია! მისი ჟანა უთუოთ თავს არ აწყენს ყოველ დილას ბანვით და წმენდით. უთუოთ ძალიან ბედნიერია! მაგრამ არა! ტროტი ახლა დიდი ბავშვია და კარგათ იცის რომ თუმცა ტანის-ბანა სასიამოვნო არ არის, სისუფთავე კი ძალიან კარგია. რა საძაგელია ეს ბიჭი!

— რა წვირიანი ხარ;—წამოიძახა მან.

პატარა ბიჭმა თვალები დახარა, მერე ისევ გამოიხედა და ხმა-ამოუღებლათ სულელური ღეჭნა დაიწყო; ხელებში ქვიშა ეკავა და სულ ერთი ხელიდან მეორეში იყრიდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ეს მაინც-და-მაინც არ ეხალისებოდა. სულ ტროტს მისჩერებოდა.

ტროტიც დააკვირდა პატარა ბიჭს; მან გააყოლა თვალი მის თვალებს—და თავისი შაქრის პური დაინახა; სამჯერ გაიმეორა ეს, სამჯერვე შაქრის პურს შეხედა; დარწმუნდა რომ არ სცდებოდა და შეეკითხა ბიჭს:

— კარგია, არა, შაქრის პური?

თან უკანასკნელი ლუკმა ჩაიტენა პირში.

პატარა ბიჭმა რალაც წაიბუტბუტა გამოურკვევლათ, თითქო დაღონებით.

— შენ კიდეც ისამხრე?

პატარა ბიჭმა გაკვირვებით შეხედა. ტროტმა გაუმეორა კითხვა:

— ისამხრე კიდეც?

პატარა ბიჭმა თავით ანიშნა, არაო.

— მაშ მალე ისამხრებ?

პატარა ბიჭი ძირს იყურება მან ხელ-ახლავ აიღო ქვიშა და ისევ იწყო მისი ერთი ხელიდან მეორეში გადაყრა, თან ისევ თავი გაიქნია, არაო.

— მაშ დღეს სულ არ ისამხრებ?

პატარა ბიჭი არას ამბობს, მაგრამ ტროტი ცხადათ ჰხედავს, რომ ეს ასე უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გუშინ ალბათ ნაძეტანი ბევრი ჭამე და ვერ მოინელე?

პატარა ბიჭმა თვალები გამოაშტერა; გეგონებოდათ ისეთი რამ უთხრეს, რაც არასოდეს არ გაუგონიაო; მერე ისევ თავი გაიქნია, არაო.

— მაშ მუცელი ხომ არ გტკივა?

არა, არც მუცელი სტკივა.

— ან იქნება გაუგონრობისთვის დაგსაჯეს?

პატარა ბიჭი ხელ-ახლავ თვალებს აჭყეტს. არა, არც ეს უნდა იყოს მართალი.

— მაშ რატომ არ სამხრობ დღეს?

პატარა ბიჭმა გადააფურთხა, რაც ძალიან არ მოეწონა ტროტს, ერთი ხელით თავი მოიფხანა, მეორის უმთავრესი ნაწილი ცხვირში შეიტენა და გაურკვევლათ რალაცა წაილულლუღა.

— რაო? არაფერი არ მოუციათ შენთვის?

პატარა ბიჭმა თავი დაუქნია.

— მერე რატომ არ თხოვე დედა შენს?

— ვთხოვე, აბა?

— და აოაფერი არ მოგცა?

— არაფერი არ იყო სახლში.

ეს ამბავი ტროტს დაუჯერებლათ მიაჩნია. მაშ შკაფები რისთვის არის, თუ შიგ არაფერი სდევს? დედისას, როცა კი სასადილო ოთახის შკაფს, ან სამზარეულოს განჯინას გააღებენ, იმდენი გემრიელი რამ გამოჩნდება ხოლმე! არა, ეს შეუძლებელია, პატარა ბიჭი უთუოთ ცრუობს, ან და დედა მისი ეტყოდა არაფერი არისო რომ დაესაჯა იგი. ტროტი სასტიკათ ეუბნება:

— შენ უთუოთ რამე ცუდი ჩაიდინე. თქვი რა ჰქენი?

პატარა ბიჭი გაკვირვებულია, გამოჭყეტილი თვალებით შეჩერებია. ტროტს გული მოსდის.

— ალბათ იხარბე? ან უზრდელობა გამოიჩინე? ან „მისსი“ თუ გააჯავრე? ან გაკვეთილი არ ისწავლე?

— არა, არა და არა,—პატარა ბიჭი სულ თავს იქნევს.

— მაშ უთუოთ გაუგონარი ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ბიჭმა მოულოდნელათ წარმოსთქვა:

— მე ყოველთვის იმას ვშობი, რაც მინდა. არავინ არაფერს არ მიშლის.

რას ნიშნავს ყველა ეს? ეს დაუჯერებელი ამბები? ტროტი ხელ-ახლავ ჰკითხავს, გულ-მოსული:

— მაშ რატომ არ მოგცეს შენი სამხარი?

პატარა ბიჭი ხელ-ახლავ იმეორებს, დაღონებული:

— სახლში აღარაფერი გვაქვს.

მაშ ეს მართალია! ტროტი განცვიფრებაშია. ნუ თუ ეს წარმოსადგენია? როგორ შეიძლება რომ დედას არაფერი ჰქონდეს თავისი პატარა შვილისთვის მისაცემათ?

— აბა გშია?

პატარა ბიჭის თვალების გამომეტყველება ცხადათ ამტკიცებს, რომ მართლაც ჰშია.

— რომ მცოდნოდა, ჩემ შაქრის პურს გაგიყოფდი. მე სულ არ მშიოდა. მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა! კიდეც გავათავე.

პატარა ბიჭი მორჩილებით ღუნავს თავს. მან დიდი ხანია იცის, რომ შაქრის პური გათავებულია.

ტროტი ერთ ხანს ჰფიქრობს, მერე ერთ ახალ, რთულ კითხვას უსვამს:

— რატომ არ არის არაფერი დედაშენის შკაფში?

— შკაფიც არ არის.

ეს სწორეთ უცნაური რამ ყოფილა.

— განჯინაში? სამზარეულოში?

— მამა ცოტა ფულს იგებს. დედა ავათ არის. პატარა ძმაც. და საჭმელი არა გვაქვს.

— მერე რატომ არ ყიდულობს მამა შენი?

— იმიტომ რომ ფულები არა აქვს.

ეს, რასაკვირველია, საპატიო მიზეზია. მაგრამ არა! მათი მზარეული ქალი, ტერეზა, ხშირათ უფულოთაც ჰყიდულობს ყველაფერს და დედას სახელზე აწერინებს წიგნში.

— წიგნში უნდა ჩააწერინოთ.

პატარა ბიჭმა თავი გაიქნია. ალბათ ესეც შეუძლებელია. ის ხელ-ახლავ ქვიშას ათამაშებს.

ტროტის გაკვირვება ისე უზომოა, რომ შიშს ჩამოჰგავს. მაშ ქვეყანაზე ისეთი ბავშვები არიან, რომლებიც ცუდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იქცევიან, მათ დედებს კი მათთვის საჭმელი არა აქვსთ? ნუ თუ ეს შესაძლებელია? მაშ რაზე ჰფიქრობს ღმერთი, კეთილი ღმერთი?

ტროტი ისევ შეეკითხა:

— და მამა შენი ეხვეწება ყოველ დღე ღმერთს რომ მან თქვენ პური არსებითი მოგცესთ?

პატარა ბიჭს თითქოს ვერც კი გაუგია ტროტი რას ეკითხება. ტროტი უმეორებს კითხვას.

— არა მგონია.

ტროტმა თავისუფლათ ამოისუნთქა. აი მაშ რაშია ამ საიდუმლოების ახსნა! მაგრამ ეს ხომ ძალიან, ძალიან ცუდია!

— რაო? მამა შენი არ ლოცულობს?

— არა მგონია.

— არ ლაპარაკობს ხოლმე ღმერთზე?

— არა. მაგრამ კი, ხან-და-ხან, როცა გაჯავრებულია.

რა გლახათ აურჩევია დრო სალოცავათ!

— რას ამბობს?

— ჰყვირის ხოლმე ძალიან და იძახის, „დასწყევლოს ღმერთმაო“.

ტროტი ჩაფიქრდა. ეს რაღაც კარგი ლოცვა არ უნდა იყოს. დედა მისს არასოდეს არ უსწავლებია მისთვის ამნაირი ლოცვა, ესეც კია რომ შეიძლება დიდ ადამიანებს სხვანაირი ლოცვები აქვსთ.

— შენ? შენ როგორ ლოცულობ?

პატარა ბიჭი იღრიჭება და არას ამბობს.

— თქვი, როგორ ლოცულობ?

პატარა ბიჭი ისევ იღრიჭება, ბოლოს აცხადებს:

— ღმერთი არ არის.

ტროტი ისე გაშტერდა, რომ ერთ ხანს სულიც კი ვეღარ მოითქვა. როგორ! ღმერთი, ღმერთი არ არის! ღმერთი, რომელსაც ის ყოველ საღამოს დედასთან ერთად ლოცვით მიმართავს! ღმერი რომელიც მის მამას მფარველობს იქ, შორს, დიდ ზღვებზე, სადაც ის დაცურავს! ღმერთი, რომელიც ყოველ დღე აძლევს მას, ტროტს, პურსა არსებითსა მურაბით და კარაქით, ტკბილეულობით, შოკოლადით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროტი მთლათ აინთო. გულმოსულობაში ის მეტათ ფიცხია, მაშინვე მეომრათ იქცევა. სწრაფათ წამოავლო ხელი თავის ბარს და ურწმუნოს თავში ჩაარტყა; პატარა ბიჭმა მორჩილებით მიიღო ეს სასჯელი, მხოლოთ მკლავი ზევით ასწია და ტროტს განცვიფრებით გვერდზე გაჰხედა.

— შენ გლახა ბავშვი ხარ და ღმერთი ძალიან კარგათ შვება რომ არაფერს გაძლევს თუ მაგაზე უფრო არ უმადლი მას.

— რას უნდა ვუმადლოდე? — წამოიკვნესა პატარა ბიჭმა. ამ კითხვამ ტროტი შეაკრთო. სახლისკენ მიდიოდა, ორი-სამი ნაბიჯი კიდეც გადაედგა, მაგრამ ახლა შეჩერდა, დაფიქრდა, და ისევ მობრუნდა.

— გამიგონე. თუ შენ არ ლოცულობ — რასაკვირველია ღმერთმა არც კი იცის თუ რამე გინდა. უნდა სთხოვო რომ საჭმელი გამოგიგზავნოს — და ისიც გამოგიგზავნის; მაგრამ უსათუოთ უნდა სთხოვო.

პატარა ბიჭი ყოყმანობს. არა სჯერა, რომ ტროტი მართალს ამბობდეს, მაგრამ ვინ იცის! თხოვნა ხომ ძნელი არ არის? იქნება კი რამე გამოვიდეს. გუშინ წინ, რომ იმათხოვრა, ხომ მისცეს ორი კაპიკი!

— სად არის ღმერთი?

ეს ძნელი საპასუხოა; ტროტს ცოტა არ იყოს უჭირს ამისი ახსნა; ყველგან არის ღმერთი, ყველგან — და განსაკუთრებით ეკლესიებში; მას ვერავინ ვერ ვხედავს, მაგრამ, თუ რამეს თხოვ — უსათუოთ აგისრულებს.

და ტროტი არიგებს პატარა ბიჭს:

— ამ საღამოს, დაწოლის წინ, სთხოვე ღმერთს, რომ ხვალისთვის, საუზმეთ, ერთი დიდი შაქრის პური გამოგიგზავნოს. ნახავ თუ არ გამოგიგზავნის.

— სად დადებს?

— სტოლზე, შოკოლადის გვერდით. შოკოლადი არსად არ არის? მაშ ბუხრის თავზე, თუ გინდა.

— არა, იქ მამა მომტაცებს. სჯობს აქ დადვას, ამ კლდის ძირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც ადვილია: ეს ღმერთს ჩვეულებათ არა აქვს, მაგრამ ბატარა ბიჭისთვის მაინც იზამს. ძალიან კარგი. მხოლოთ ადგილი სწორეთ უნდა დაუნიშნონ, რომ არ შეეშალოს. მაშ ასე, არა? ხომ კარგათ გაიგო ყველაფერი ბატარა ბიჭმა?

არა, ბატარა ბიჭს რაღაც უხერხულობა ეტყობა, თითქოს კიდევ უნდა რისაშე კითხვა. რა ამბავია? რა არის?

— არ ვიცი როგორ ვთხოვო ღმერთს. მე მას ვერ ვიცნობ.

ტროტს გული მოსდის. რა სულელია ეს ბიჭი! არაფერი არ იცის! მაგრამ ტროტი მაინც ბოლომდის დაეხმარება. მან დაიჩოქა.

— შენც დაიჩოქე!

ბატარა ბიჭი ცდილობს მიჰბაძოს, მაგრამ გულ-დალმა ეცემა. ტროტი ძალიან გაჯავრებულია. ბოლოს, აი, როგორც იქნა, ბატარა ბიჭი დაჩოქილია მის გვერდით.

— ხელები ასე დაიკრიფე!

ბევრი ცდის შემდეგ ბატარა ბიჭის ხელებიც გულზეა დაკრეფილი. რა წვირიანი ხელები აქვს! როგორ უნდა მოეწონოს ღმერთს ეს ხელები! მაგრამ რა გაეწყობა.

— გაიმეორე რაც მე ვთქვა. „ჩემო საყვარელო კეთილო ღმერთო, მე ძალიან მშია“. ჰე, გაიმეორე, რას უცდი?

ბატარა ბიჭი ჭიაყელასავით იკლაკნება და რაღაცას ლულლულობს. გაურკვევლათ მოისმის სიტყვები „ღმერთო“ და „მშიაო“.

— გაჩერდი, ნუ ინძრევი. „მე ძალიან მშია. გთხოვ დამიდვა ხვალ, დილას ერთი დიდი შაქრის პური ამ კლდის ნახვრეტში, იქ სადაც ტროტმა თავისი ბარი დატოვა. ამინ“.

ტროტი ძალიან კმაყოფილი დგება ფეხზე. აი, ლოცვა ასე უნდა. ის მფარველობით თავს უქნევს თავის მოწაფეს და სახლისკენ მიემართება.

მთელი საღამო ტროტი ჩაფიქრებულია. რა გახარებული იქნება ხვალ ბატარა ბიჭი! ტროტს ეს ახლავე ამხიარულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თან შიშიც ეპარება. რომ არ დადვას ღმერთმა შაქრის პური?

— დედა, ღმერთს თუ რამეს სთხოვ, უსათუოთ აგისრულებს, არა?

— უსათუოთ, ჩემო პატარა, თუ შეუძლებელს არას მოინდომებ და თუ ძალიან გულით სთხოვ.

ტროტს აღარ ეშინია. აბა რა შეუძლებელია ღმერთისთვის ერთი შაქრის პურის გამოგზავნა! და აბა გულით როგორ არ სთხოვდა პატარა ბიჭი, რომელიც ისე ხარბათ მისჩერებოდა მის შაქრის პურს?

ტროტს სძინავს. მას შაქრის პურების დიდი გროვები ესიზმრება, უშველებელი, ვეებერთელა შაქრის პურების მთები; ამ პურებს ღმერთი პატარა ბიჭს უგზავნის; პატარა ბიჭი სჭამს, სჭამს, სჭამს... ღმერთს კი სულ ახალ-ახალი პურები მოაქვს; პატარა ბიჭი, კმაყოფილი, ბედნიერი, იცინის და სჭამს, სულ სჭამს; ლოყები წითელი და მთლათ გამობერილი აქვს. ტროტი აღტაცებულია.

— დილა მშვიდობის, ბატონო ტროტ, როგორ გეძინათ?

ანა ჰბანს და მერე აცმევს მას. ტროტი ისევ პატარა ბიჭზე ჰფიქრობს. ახლა ისიც უნდა სთხოვოს მან ღმერთს, რომ ღმერთმა დაჰბანოს და სხვა ტანისამოსი მისცეს. რა გაეხარდება შაქრის პურს რომ იპოვნის! რა მშვენიერი დარია! უთუოთ იმისთვის რომ შაქრის პური არ დასველდეს იქ, კლდის ნახვრეტში.

ტროტმა ერთ წამში გადაჰკრა თავისი შოკოლადი, შესატანებელი შაქრის პური კი ჯიბეში ჩაიდვა, რომ უფრო მალე გაქცეულიყო.

— დედა, წავალ ზღვის პირას!

— რა მიგაჩქარებს ასე? — გაუღიმა დედამ. — წადი ჩემო პატარა, წადი, ძალიან კარგი დარია. „მისსი“ რომ მოვა, დაგიძახებთ.

ტროტი მირბის, მიჰფრინავს იმ კლდისკენ. ნეტავი როგორი შაქრის პური დახვდება იქ? უთუოთ უფრო დიდი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ლამაზი, ვიდრე ნაყიდი. ტროტს გულში ცოტათა-
კიდეც ეხარბება ის მშვენიერი შაქრის პური.

ტროტი ნახვრეტში ხელს ჰყოფს, იხედება შიგ—და
უეცრათ მთლათ ფითრდება. იქ არაფერი არ არის. ის ხელ-
ახლავ იხედება—არაფერი! იქნება ღმერთს სხვაგან გადუვარ-
და სადმე? ტროტი კლდის ირგვლივ ყველაფერს ათვალიერებს,
არსად არაფერი სჩანს. კლდის სხვა ნახვრეტებშიც იყურება,
არსად, არსად არაფერი! რას ნიშნავს ეს? ახლავე პატარა ბი-
ჭიც მოვა და ვერაფერს რომ ვერ ნახავს, ისევ იტყვის, ღმერ-
თი არ არისო. მას ეგონება, ტროტმა მომატყუილაო, და
მშიერიც დარჩება. ვაი, ვაი, ვაი!

ტროტი ისეთი აღელვებულია, რომ ცრემლებს ძლივს იკა-
ვებს; ყელში რაღაც ებჯინება; უთუოთ დღეს ღმერთს ბევ-
რი სხვა საქმე ჰქონდა, ან დაავიწყდა, ან იქნება შაქრის პუ-
რები დაეწვა. ეს ძალიან შესაძლებელია, ერთხელ მათაც და-
ეწვათ შაქრის პურები სახლში. ნეტავი დამწვარი მაინც გა-
მოეგზავნა! რა ჰქნას ახლა?

ტროტი ერთ ადგილას არის გაშეშებული; უეცრათ პა-
ტარა ბიჭი დაინახა; იქ, შორს გამოჩნდა; რაც ძალი და ღო-
ნე ჰქონდა კლდისკენ მორბოდა მხიარული, მოღიმარი სა-
ხით. ტროტს ფეხები აუკანკალდა, გულში რაღაც ჩაერჭო;
მას უნდა გაიქცეს, დაიმალოს, და ვერ ახერხებს; გაფანტვით
ორივე ხელი ჯიბეებში ჩაიტენა და....ოჰ, ბედნიერებავ! თა-
ვისი შაქრის პური იგრძნო თითებში. სწრაფათ ამოათრია ის
ჯიბიდან და სწრაფათვე ჩააგდო კლდის ნახვრეტში.

პატარა ბიჭი ძირს ზის, ქვიშაზე. ის ისე ილუკმება, რომ
თითქმის იხრჩობა. ტროტი ფეხზე დგას და დაფიქრებით მის-
ჩერებია; თითონაც ჰშია და ცოტა სიმწარით ჰხედავს, რო-
გორ ჭრება ის, რაც მისი საუზმე უნდა ყოფილიყო, მა-
გრამ მაინც კმაყოფილია. როგორ იამება ღმერთს რომ გაი-
გებს, ტროტმა ჩემი დაუდევრობა გამოასწორაო!

პატარა ბიჭმა გაათავა.

— ხომ გემრიელი იყო შაქრის პური, ჰა?

— ძალიან. მაგრამ ის ღმერთს არ გამოუგზავნია. მე
კარგათ დავინახე რომ შენ თითონ ჩააგდე ის ნახვრეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროტი მთლათ გაწითლდა. მართალია, აბა უარი როგორ უნდა თქვას? მაგრამ უეცრათ სახე გაუბრწყინდა და გამარჯვებული, ამაყი კილოთი უპასუხა:

— ჰო, მგრამ მე მგონია რომ ღმერთმა მითხრა, ჩააგდეო! და ის სახლისაკენ გაემართა, მშიერი, მაგრამ ბედნიერი.

ელ. **დემოლონ-წერეთლისა.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეხუთე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1914 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში**—„ჯეჯილის“ რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს.
მიხაილოვში—ვლად. ჩიქოვანს.
სამტრედიაში—რაჟდენ ნანეიშვილს.
სილნალში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. **თუმანიშვილი წერეთლისა.**

ჯეჯილის **1914** წლის ხელის მომწერლებს

ვინც ჟურნალის ფასს სრულად გადაიხდის

საჩუქრათ გაეგზავნებათ

დასურათებული წიგნი.

„კუნწულა“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის

ყოველდღიური სპორტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სახალხო ფურცელი

წელიწადი მეხუთე.

მომავალ 1914 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა და გაზეთს ექნება კვირაობით

სურათებიანი დამატება.

1914 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიად

სამს წიგნს.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 4 მან. 50 კაპ., საზღვარ-გარედ 7 მ. 50 კ., ერთი თვით ტფილისში 75 კ., საზღვარ-გარედ 1 მან. 25 კაპ.

ცალკე ნომერი უფასოდ ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ" почтовый ящикъ 190.

Открыта подписка на 1914 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь"

(Годъ изданія шестой).

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь", Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".

Редакторъ **Д. М. Думбадзе.** Издатель **Э. З Горделадзе.**